განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 05 ივლისი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 05 სექტემბერი, 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალმცოდნეობა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი - უმაღლესი განათლების პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0421 სამართალი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული; საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება №MES 1 21 0000050846

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა,

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია წიკლაური, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ფარეშიშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამაა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონეზეა, რომელიც ხორციელდება ქართულ ენაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრება, როგორც „სამართლის ბაკალავრი“.

საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულია მასზე დაშვების წინაპირობები. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, კერძოდ, კურიკულუმი მოიცავს 240 ECTS, და შედგება შემდეგი მოდულებისაგან: ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები, ძირითადი სპეციალობის კომპონენტი (თავის მხრივ, მოიცავს სპეციალობის სავალდებულო კომპონენტსა და სპეციალობის არჩევით კომპონენტს) და თავისუფალი კომპონენტი. სასწავლო კურსები, სემესტრების მიხედვით, განაწილებულია შემდეგი პრინციპით: სწავლების დასაწყისში სტუდენტები გადიან გაცნობითი/ზოგადი ხასიათის საგნებს. ყოველ შემდეგ სემესტრში შეთავაზებული საგნების სირთულე იზრდება შინაარსობრივი თვალსაზრისით და ითვალისწინებს სხვადასხვა დისციპლინებს, როგორც პრერეკვიზიტებს შესაბამისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. პროგრამაში შემავალი საგნების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა აწყობილი. სწავლების ბოლოს, ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტი სავალდებულოდ გადის პრაქტიკუმს საჯარო სამართალში, პრაქტიკუმს კერძო სამართალში და პრაქტიკუმს სისხლის სამართალში. აღნიშნული კურსები განამტკიცებს სტუდენტის მიერ საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მოდულის ფარგლებში გავლილ სასწავლო დისციპლინებში მიღებულ ცოდნასა და მიმართულია სამართლის შესაბამის დარგში სტუდენტის პრაქტიკული უნარების განმტკიცებაზე. ამასთან, ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, საკუთარი არჩევანი გააკეთოს საბაკალავრო ნაშრომის არჩევით - კვლევითი უნარების ან სამართლის კლინიკის არჩევით - პრაქტიკული უნარების განმტკიცებაზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2022 წლის 05 ივლისს, ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე. ვიზიტამდე დაიგეგმა დისტანციური

წინამოსამზადებელი შეხვედრა, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გაუზიარეს ერთმანეთს დასაზუსტებელი საკითხები და მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე,

ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე, ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენაში. ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. უნივერსიტეტმა უზრუნველყო ინტერვიუების გამართულად წარმართვა.

პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. განიმარტა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასა და პროგრამის შემუშავება-განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტი.

ვიზიტის მომდევნო პანელი დაეთმო თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას და განიმარტა სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესი და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობა.

ვიზიტის მესამე პანელზე შეხვედრა შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და განიმარტა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტი.

მომდევნო პანელი დაეთმო შეხვედრას აკადემიურ პერსონალთან, შედგა ინტერვიუ მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის აქტიურ სტუდენტებთან, განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შემდგომ შედგა შეხვედრები დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

ბოლო პანელი დაეთმო შეხვედრას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან. ინტერვიუ წარიმართა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, მათ განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად 4.2. სტანდარტის აღწერილობით მიმოხილვასა და ანალიზში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დანართებთან დაკავშირებით გარკვეული კორექტირება (იხ. დასკვნის 4.2. სტანდარტი, გვ. 53).

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შემოწმდა აკრედიტაციის სტანდარტებსა და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით. პროგრამის აკრედიტაციის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული

ვიზიტის შედეგების განხილვისა და გაანალიზების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამა შესაბამისობაშია კვალიფიკაციათა ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ სამართლის დარგობრივ მახასიათებელთან და შეესაბამება სტანდარტებს, კერძოდ:

№	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
	1.1. პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	2.3. სასწავლო კურსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	2.6. სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	3.2. მაგისტრანტთა/დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	არ ფასდება
4.	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
	4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	4.3. მატერიალური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
	4.4. პროგრამის ბიუჯეტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

2.3. სტანდარტთან მიმართებით:

1. მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული სამართლის (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული თემატიკა გადამუშავდეს და სალექციო თემატიკის თანმიმდევრობა შეიცვალოს სასწავლო კვირების გათვალისწინებით, კერძოდ:
   1.1. სილაბუსში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ სალექციო საათები წინ უნდა უსწრებდეს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის შესახებ მე-6 კვირაში გათვალისწინებულ საკითხებს.
   1.2. შუალედური შეფასება ჩატარდეს მე-7 და მე-10 კვირის სალექციო თემატიკის სრულად დაფარვის შემდგომ მაშინ, როცა სტუდენტს აქვს ცოდნა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის, მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ამ აქტების სახეების შესახებ.
   1.3. სალექციო კურსის დასაწყისში გადატანილ იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ მე-12-13-ე კვირებით გათვალისწინებული თემატიკა, რომ სტუდენტს წარმოდგენა ჰქონდეს იმ სუბიექტის შესახებ, რომლის საქმიანობის ფორმებისა და პასუხისმგებლობის თაობაზე საკითხებსაც შეისწავლის მომდევნო კვირებში.
2. მიზანშეწონილია, გადაიხედოს საგნის ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება) შინაარსი და თემატიკა. მნიშვნელოვანია, დოკონკრეტდეს, თუ რა მიზანს ისახავს აღნიშნული საგანი: შესძინოს სტუდენტს ცოდნა ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებების შესახებ, თუ დაიფაროს ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებული სფეროების და შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ საკითხები.

4.3. სტანდარტთან მიმართებით: იქიდან გამომდინარე, რომ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონულ ბაზაზე წვდომა მნიშვნელოვანი და საჭიროა სწავლის პროცესში, მიზანშეწონილია ბიბლიოთეკაში გააქტიურდეს თუნდაც 2-3 მომხმარებელი ბიბლიოთეკის კომპიუტერზე, სადაც სტუდენტს ექნება უშუალო წვდომა და შეძლებს ბაზასთან მუშაობას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.1. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ მონაცემები განახლდეს.

2.1. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, დაშვების წინაპირობებში მითითებული პირობა - „სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე“ - ან საერთოდ ამოღებულ იქნეს, ვინაიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, მინისტრის ბრძანებით ჩარიცხვის გზა, ასევე, გულისხმობს უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტების საერთაშორისო მობილობის გზით მიღებას, ან ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სამართალმცოდნეობის პროგრამაზე უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გამოყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.“

2.3. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, სასწავლო კომპონენტი „სამართლის მეთოდები“ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში არჩევითის ნაცვლად, სავალდებულო საგნების ბლოკში იქნეს გადატანილი.

2.4. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, ახალი სასწავლო წლისათვის გადაიხედოს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიერ, პროგრამის მოდიფიცირებამდე გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები და განხილულ იქნეს ამ დოკუმენტზე ხელმომწერი მეორე მხარის, პარტნიორი ორგანიზაციების მზაობა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის თაობაზე და ამ შემთხვევაში, უნდა განახლდეს შეთანხმების დოკუმენტები არამხოლოდ მოქმედების ვადების, არამედ შინაარსობრივი საკითხების ჭრილში, დაკონკრეტდეს ის აქტივობები და ღონისძიებები პროგრამის მიზნებისა და კურიკულუმის გათვალისწინებით,, რის განხორციელებასაც რეალურად უზრუნველყოფს პარტნიორი დაწესებულება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

4.1. სტანდარტთან მიმართებით: მისასალმებელია, რომ უსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ნაწილს ერთდროულად უძღვება რამდენიმე პედაგოგი, რაც დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგად.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სამართლის საბაკალავრო პროგრამა ძირეულად იქნა მოდიფიცირებული, ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული წინა აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები, გათვალისწინებულ იქნა პროგრამის გარე შეფასების პროცესში, დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები და სრულად შესრულდა აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის N MES 1 21 0000050846 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს მითითებული სასწავლო მასალა და განახლდეს რელევანტური თანამედროვე ლიტერატურით შემდეგი საგნები: შესავალი კონსტიტუციონალიზმში,

საკონსტიტუციო სამართალწარმოება, სააღსრულებო სამართალი, იურიდიული ფსიქოლოგია, ევროკავშირის სამართალი, ადამიანის ძირითადი უფლებები, საკორპორაციო სამართალი, საფინანსო სამართალი, ფასიანი ქაღალდების სამართალი. - **შესრულებულია**

პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კომპონენტი სახელწოდებით „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“, ხოლო საკონსტიტუციო სამართალწარმოებას გადაერქვა სახელი ჰქვია საკონსტიტუციო მართლმსაჯულება. სხვა კომპონენტები ამოღებულია პროგრამიდან.

2. საგანში - „შესავალი კონსტიტუციონალიზმში“ გადაიხედოს სასწავლო თემატიკა და წარმოდგენილ იქნეს იმგვარად, რომ საგნის სახელწოდება იფარებოდეს თემატიკით - **შესრულებულია**

სასწავლო კომპონენტს ჰქვია შესავალი საკონსტიტუციო სამართალში და საგნის სახელწოდება და სალექციო თემატიკა შეესაბამება ერთმანეთს.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციაზე ორიენტირებული და აუცილებელია მასში აისახოს საქართველოს კონსტიტუციის მიერ დადგენილი საკონსტიტუციო ორგანოთა რეგლამენტაცია, აუცილებელია გადაიხედოს სილაბუსი და დაემატოს საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის, სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების, სახელმწიფო ფინანსებისა და კონტროლის მიმართულებები - **შესრულებულია**

4. აკადემიური წერა იურისტებისთვის - საგნის თემატიკიდან ამოღებულ უნდა იქნეს სამართლებრივი წერისათვის დამახასიათებელი შინაარსობრივი საკითხები (მაგალითად, გასაჩივრების დოკუმენტები, საქმიანი კორესპონდენცია, განცხადება, ინფორმაციის გამოთხოვა და მსგ.), მათ ნაცვლად საგანმა უნდა მოიცვას უშუალოდ აკადემიური წერის შინაარსობრივი თემატიკა. – **შესრულებულია**

პროგრამაში დღეისათვის წარმოდგენილია სასწავლო კომპონენტი ზეპირი და წერითი კომუნიკაციების უნარები, რომლის სილაბუსი შემუშავდა ერთის მხრივ, საბჭოს რეკომენდაციების, ხოლო მეორეს მხრივ დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით და ორიენტირებულია, სტუდენტს მისცეს საბაზისო ცოდნა აკადემიური და პროფესიული წერისათვის, ასევე საჯარო გამოსვლების ტექნიკის თაობაზე და გამოუმუშაოს საჯარო გამოსვლებისა და ეფექტური პრეზენტაციისათვის საჭირო უნარები.

5. აღმოიფხვრას შესავალი კონსტიტუციონალიზმისა და სამართლის საფუძვლების თემატური ურთიერთგადაფარვა (სახელმწიფო, სახელმწიფოს ფორმები, სახელმწიფოს მექანიზმი და ა.შ.) - **შესრულებულია.**

6. შესავალი იურიდიულ პროფესიაში არ პასუხობს საგნის შინაარსს, იგი სრულად ორიენტირებულია იურიდიულ პროფესიათა ეთიკაზე. საგნის შინაარსი და სახელწოდება მოვიდეს შესაბამისობაში საგნის სახელწოდების შეცვლის, ან თემატიკის სრულად განახლების გზით. - **შესრულებულია**

პროგრამის კურიკულუმში გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტი „იურიდიულ პროფესიათა ეთიკა“, რომელსაც ახორციელებენ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები და სალექციო თემატიკას ფარავენ მათი კომპეტენციების ფარგლებში.

7. საქმიანი წერა შინაარსობრივად უნდა გამდიდრდეს რამდენიმე სამართლებრივი თემატიკით და დაერქვას სამართლის სწავლის სფეროსთვის შესაბამისი სახელი, წინააღმდეგ შემთხვევაში გადატანილ იქნეს სწავლის ძირითადი სფეროს მიღმა არჩევით საგნებში ან თავისუფალ კრედიტებში. - **შესრულებულია**.

აღნიშნული კომპონენტი ამოღებულია პროგრამიდან და მის ნაცვლად შეთავაზებულია „ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარები“

8. საკონსტიტუციო სამართალწარმოება - შინაარსობრივად არ ფარავს სრულად საკონსტიტუციო სამართალწარმების საკითხებს, სილაბუსში ძირითადად წარმოდგენილია საკონსტიტუციო კონტროლის თემატიკა. აუცილებელია საკონსტიტუციო სამართალწარმოების არსებითი საკითხების ზრდა და მათი შესაბამისი, თემატური წყაროების ინტეგრირება სილაბუსში. - **შესრულებულია.**

9. რეპეტიტორიუმი კერძო სამართალსა და სისხლის სამართალში შინაარსობრივად ზედმიწევნით იმეორებს შესაბამისი მიმართულების საგნების თემატიკას, წყაროებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს, რაც რეალურად საგნების დუბლირებაა და არა ცოდნის გაღრმავება. აუცილებელია გაიმიჯნოს რეპეტიტორიუმების შინაარსობრივი თემატიკა, ლიტერატურა და შეფასების კრიტერიუმები სავალდებულო საგნებისგან. - **შესრულებულია**

ზემოხსენებული სასწავლო კომპონენტები ამოღებულია პროგრამიდან და მათ ნაცვლად შეთავაზებულია პრაქტიკუმები კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის მიმართულებით ცალ-ცალკე, რომლებიც ფარავს შესაბამის თემატიკას კონკრეტული პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დავალებების შესასრულებლად.

10. იურიდიული ფსიქოლოგიის თემატიკის 2/3 ზოგადი ფსიქოლოგიიდანაა აღებული, აუცილებელია საგნის ორიენტირება სრულად სამართალზე. ფსიქოლოგიის საფუძვლების საკითხები ამოღებულ უნდა იქნეს სილაბუსიდან და იგი გამდიდრდეს საკონსტიტუციო და კერძოსამართლებრივი ფსიქოლოგიის თემატიკით, არ ორიენტირდებოდეს მხოლოდ სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაზე, რითაც ვერ ამოიწეურება საგნის სახელწოდება. - **შესრულებულია**

სასწავლო კომპონენტი ამოღებულია პროგრამიდან.

11. გადაიხედოს ევროკავშირის სამართლის საგნის სილაბუსი, ამოღებულ იქნეს სრულიად არარელევანტური და საგნის შინაარსთან კავშირში არმყოფი თემატიკა (მაგ., მე-9 და მე-10 თემები), განივრცოს უშუალოდ დარგის საკითხებით - **შესრულებულია.**

12. ადამიანის ძირითადი უფლებების შინაარსი გადახალისდეს, დაემატოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია, კაზუსის

შეფასების მეთოდიკა შესაბამისობაში მოვიდეს ევროსასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტთან, თემატიკაში გათვალისწინებული იქნეს მკაცრი და რაციონალური დიფერენციაციის ტესტებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების შესახებ საკითხები - **შესრულებულია.**

13. რეპეტიტორიუმი ადმინისტრაციულ სამართალში - საგნის შინაარსი არ შეესაბამება საგნის სახელწოდებასა და რეპეტიტორიუმის მიზნებს და შედეგებს. შინაარსით საგანი ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს მიემართება, შესაბასად, აუცილებელია საგნის სახელწოდების ცვლილება და რეალობის გათვალისწინება, ან საგნისთვის სახელის დატოვება და მთლიანი შინაარსის ცვლილება სახელწოდების შესაბამისად. - **შესრულებულია.**

    პროგრამიდან ამოღებულია აღნიშნული სასწავლო კომპონენტი და მის ნაცვლად შემუშავებულია „პრაქტიკუმი საჯარო სამართალში“.

14. სასწავლოს კურსის „რეპეტიტორიუმი კერძო სამართალში“ სილაბუსში, ძირითადად განხილულია სანივთო და ვალდებულებითი სამართალი, ხოლო სახელშეკრულებო სამართლის საკითხები მწირად არის წარმოდგენილი. ასევე, საერთოდ არ არის მოცემული მასთან დაკავშირებული და უშუალო კორელაციაში მყოფი საკთხები მომიჯნავე დარგებიდან, შესაბამისად, მიზანშეწონილია, სასწავლო კურისის ფარგლებში განხილული იყოს პროცესუალურ- სამართლებრივი საკითხები. კომბინირებულად უნდა იყოს წარმოდგენილი სამართლის სხვადასხვა დარგის ნაზავი, რომლშიც მიზნობრივად იქნება ინკორპორირებული საპროცესო სამართალიც. ასევე, მნიშვნელოვანია, რეპეტიტორიუმის დაფუძნება უპირატესად სასამართლო პრაქტიკაზე. აუცილებელია, მოხდეს მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვა და მათი ანალიზი აღნიშნულ კურსში, რაც წამოდგენილი სილაბუსიდან არ იკვეთება - **შესრულებულია.**

    აღნიშნული სასწავლო კომპონენტი ამოღებულია პროგრამიდან და მის ნაცვლად შემუშავდა ახალი სალექციო კურსი „პრაქტიკუმი კერძო სამართალში.“

15. „სააღსრულებო სამართლის“ სილაბუსში, მიზანშეწონილია, გადაიხედოს სწავლების მეთოდები, რადგან თუ კონკრეტულ სილაბუსში (ეხება არამხოლოდ ამ, არამედ სხვა საგნებსაც) მითითებულია სწავლების მეთოდები, მაშინ იგი რელევანტური და სწავლების დროს რეალურად გამოყენებადი უნდა იყოს, ასევე, ეს უნდა ჩანდეს სილაბუსიდან. - **შესრულებულია.**

16. მიზანშეწონილია, გადაიხედოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა და მოხდეს ამ რაოდენობის გაზრდა. - **შესრულებულია**

17. საკორპორაციო სამართლის მე-10 კვირის ლიტერატურაში მიზანშეწონილი იქნება ი.ბურდულის დამაფუძნებელი სტატიის მითითება, რომელიც სავალდებულო სატენდერო შეთავაზებასა და აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტებს შეეხება - **შესრულებულია.**

    საკორპორაციო სამართლის სასწავლო კომპონენტი და შესაბამისი სილაბუსი სრულად შეცვლილია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში „უსდ“ ან „უნივერსიტეტი“) მისია პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა, გამოყენებით კვლევებზე, ინოვაციებზე, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებით. უნივერსიტეტი ისწრაფვის, ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა (შემდგომში „სამართლის საბაკალავრო პროგრამა“ ან „პროგრამა“) ხორციელდება 2011 წლიდან, 2021 წლის 31 იანვრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით კი 2 წლიანი პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა. წარმოდგენილ პროგრამაში, სხვა მნიშვნელოვან არსებით ცვლილებებთან ერთად, პროგრამის მიზნებიც დაკორექტირდა. პროგრამა ფორმულირებულია 6 მიზნის გარშემო და მიზნად ისახავს, შესძინოს სტუდენტს სიღრმისეული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, ეროვნული სამართლის ძირითადი თავისებურებების, სამართლებრივი სისტემების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, რომის სამართლის წყაროებისა და ძირითადი ინსტიტუტების, იურისტის (მოსამართლის,

ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკური პრინციპების, იურიდიული პროფესიების ზნეობრივი ასპექტების, ასევე საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მოწესრიგების თავისებურებების, მათ შორის სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზების, ძირითადი მახასიათებლებისა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზების თაობაზე; ასევე, გამოუმუშავოს სტუდენტს შემდეგი უნარები:

- საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ამოცნობის, უახლესი სამართლის მეთოდების გამოყენებით მათი გადაწყვეტის შესაბამის გზების შემუშავების, ასევე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი და წერითი ფორმით საკუთარი პოზიციების/დასკვნების დასაბუთების უნარი;
- იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, საპროცესო და სამართალშეფარდებითი აქტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელებისა და სხვა იურიდიული ამოცანების გადაწყვეტის უნარი;
- სამართლებრივი დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, სამართლებრივი დავის გადაწყვეტის გზების შემუშავების, ასევე დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით საკუთარი პოზიციების დასაბუთების უნარი;
- იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვითა და სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარი;
- საჭირო ინფორმაციის, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ადეკვატურადაა განსაზღვრული და თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო კურსების მიზნებთან. პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა მიმართული პროგრამა, ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და

დაფუძნებულია ამ მოთხოვნათა ანალიზზე. აკრედიტაციის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ვიზიტისას სხვადასხვა პანელთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგებით, ნათლად დასტურდება, რომ უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვა და, რაც მნიშვნელოვანია, აღნიშნული შრომის ბაზრის კვლევისა და გამოკითხვების ანალიზის/შეფასების საფუძველზე უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი შედეგები აისახა პროგრამაში. განსაკუთრებული აქცენტირება, ამ გამოკითხვების ანალიზის გათვალისწინებით, გაკეთდა სამართლის პროგრამის იმგვარ მოდიფიცირებაზე, რომლითაც გაძლიერდებოდა სტუდენტებისათვის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავება. შესაბამისად, წარმოდგენილ პროგრამაში არამარტო ასახულია სხვადასხვა სასწავლო კურსში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტი, არამედ პროგრამა ითვალისწინებს ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელ კომპონენტს, რაც, იურიდიულ პროფესიათა ეთიკის სასწავლო კურსთან ერთად, მოიცავს პრაქტიკუმებს სამართლის სამივე მოდულში: საჯარო, კერძო და სისხლის სამართალში. აღნიშნული სასწავლო კურსები, რომლებიც ასრულებენ პროგრამას, ორიენტირებულია საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მოდულების ფარგლებში სწავლების სხვადასხვა ეტაპზე სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განმტკიცებაზე, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულების პრაქტიკული უნარის ნაკლოვანებების შესახებ შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების გამოკითხვებში ასახული რეკომენდაციების რეალისტურ გათვალისწინებას პროგრამაში და მიმართულია ამ გამოწვევის საპასუხოდ. უნივერსიტეტში, ასევე, ფუნქციონირებს ე.წ. „ლაივ კლიენტზე“ (“live client”) დაფუძნებული სამართლის კლინიკა, რომლის არჩევის შესაძლებლობაც სტუდენტს გააჩნია ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი არჩევითი კომპონენტის ფარგლებში. სტუდენტებს, დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ, შესაბამისი სპეციალიზაციის ადვოკატის ხელმძღვანელობით გამოიყენონ მათ მიერ მიღებული თეორიული ცოდნა რეალურ საქმეებზე მუშაობის პროცესში და, შესაბამისად, მეტად განამტკიცონ პრაქტიკული უნარები.

იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი პროგრამის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მოიაზრება, მისასალმებელია, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის (2018-2025) დოკუმენტთან ერთად, უშუალოდ სამართლის ფაკულტეტისათვის, სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამართლის ფაკულტეტის განვითარების გრძელვადიანი (სტრატეგიული) გეგმა (2022-2025) და სამართლის ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა 2021 წლის 01 ნოემბერიდან-2023 წლის 01 ოქტომბრამდე. აღნიშნული დოკუმენტებით, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოდგენილია უნივერსიტეტის ხედვა არა მხოლოდ ზოგადად უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართულებით, არამედ უშუალოდ სამართლის ფაკულტეტისა და, მათ შორის, პროგრამისკენ, მიმართული ინტერნაციონალიზაციისა და მისი განვითარების კონკრეტული გეგმების თაობაზე, რაც,

მათ შორის, მოიცავს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობას.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. სამეცნიერო და საგანმანათლებლო ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებით, მათ შორის სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების საკითხებზე, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები და თანამშრომლობს სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საერთაშორისო აქტივობების შესახებ და ჩართულნი არიან აღნიშნულ აქტივობებში.

პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო კომპონენტების მოდულები საბოლოო ჯამში უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების მიღწევადობას, რაც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. არჩევითი კურსების სტუდენტებისათვის შეთავაზება საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით, შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, თავად მოახდინოს საკუთარი პროფილის ფორმირება მისი ინტერესის სფეროს შესაბამისად. პროგრამის მიზნების რეალისტურობასა და მიღწევადობასთან მიმართებით გასათვალისწინებელია სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის აუცილებელი ის ძირითადი კომპონტენტები, რაც წარმოადგენს პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევის აუცილებელ საშუალებებს: (1) სამართლის პროგრამის სტრუქტურა, შესამისობა დარგობრივ მახასიათებლებთან, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და მისი გაჯერება, პირველ რიგში, იმგვარი სავალდებულო სასწავლო კურსებით, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების განხორციელებას; (ბ) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - სათანადო სასწავლო სივრცე; (გ) თანამედროვე ინტერნეტ და მატერიალურ სამართლებრივ გამოცემებზე ხელმისაწვდომობა, რაც, თავის მხრივ, მოიცავს თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის არსებობას; (დ) მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი იურისტის მომზადებას და (ე) პროგრამის ფინანსური მდგრადობა. პროგრამის მიზნების მიღწევადობის რეალისტურობის ზემოაღნიშნული კომპონენტების ერთობლივად შეფასების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია, თუმცა, საბოლოო განახლებული ვარიანტი, რომელიც არსობრივად განსხვავდება არსებული პროგრამისგან, ვებ-გვერდზე http://ibsu.edu.ge არ არის ატვირთული. სასურველია, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ მონაცემები განახლდეს (თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ განახლებული პროგრამა აკრედიტაციის მოპოვებისთანავე აისახება ვებგვერდზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

- სამართლის ფაკულტეტის განვითარების გრძელვადიანი (სტრატეგიული) გეგმა 2022- 2025
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018-2025)
- ინტერნაციონალიზაციის შესახებ ანგარიში (2022)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ მონაცემები განახლდეს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რომელსაც/რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შედეგად. პროგრამის სწავლის შედეგები სისტემატიზირებულია ცოდნა-გაცნობიერების, უნარისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის კომპონენტებში და განისაზღვრება შემდეგი სახით:

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- (*ცოდნა-გაცნობიერება*) აღწერს:
  - სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს; განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, სამართლებრივ სისტემებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ასევე რომის სამართლის წყაროებსა და ძირითად ინსტიტუტებს;
  - სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს, ეროვნული მოდელის თავისებურებებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს; განსაზღვრავს საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავების წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს, სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;
  - კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, სანივთო სამართლის სისტემას, პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალის მიზნებს, ამოცანებს, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებებს, შრომის სამართლის წყაროებს, შრომითი ურთიერთობის პრინციპებს, შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო დავების წარმოშობის მიზეზებს

სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს, საკორპორაციო სამართლის სისტემას და წყაროების, ქართული საკორპორაციო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმებსა და მათ დამახასიათებელ ნიშნებს;

- დანაშაულის არსს, სახეებს, სასჯელის სისტემას; განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს; განსაზღვრავს საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობის საკითხებს, ევროკავშირის სამართლის ძირითად პრინციპებს, სისტემას, წყაროებს, ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტების ფუნქციებს;
- იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) პროფესიული საქმიანობის ეთიკურ პრინციპებს.

➢ *უნარი*

- ამოიცნობს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და უახლესი სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს;
- იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს, ზეპირი და წერითი ფორმით;
- შეიმუშავებს სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს;
- შეიმუშავებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- კრიტიკულად აანალიზებს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს, აფასებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ახორციელებს კონკრეტულ იურიდიულ მოქმედებებს და წყვეტს სხვა იურიდიულ ამოცანებს; მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს.
- შეიმუშავებს სამართლებრივი დავის/საქმის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, სამართლებრივი დავის/საქმის გადაწყვეტის გზებს, ასაბუთებს

საკუთარ პოზიციებს, დავის/საქმის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

- *პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*
  - ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებების, სამართლებრივი ღირებულებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით;
  - ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგების ძირითად კომპონენტებს. ასევე, წარმოდგენილია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, რომელთანაც თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგები.

პროგრამა განსაზღვრავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკას, რომელიც არსებითია სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის დადგენისათვის, ასახავს კავშირს პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის და პროგრამის სწავლის შედეგებთან თითოეული სასწავლო კურსის ურთიერთმიმართებას. ამასთან, ყოველ სასწავლო კურსთან მიმართებით განსაზღვრულია, თუ რა დონით ავითარებს მოცემული კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).

კურსდამთავრებულისათვის პროგრამა იძლევა შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობას. თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ასეთი შესაძლებლობით კურსდამთავრებულების 46%-მა ისარგებლა.

უნივერსიტეტს განხორციელებული აქვს შრომის ბაზრის ანალიზი, დამსაქმებელთა, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვები და ამ გამოკითხვების ანალიზი, რომელთა შედეგებიც ასახულია სწავლის შედეგების შესაბამისად განსაზღვრაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუირების შედეგებით დასტურდება პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შემუშავებაში სხვადასხვა დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობა. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის და სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი ინსტრუქცია და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. ინსტრუქციის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ხოლო ამ პროცესის მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება პროგრამის ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელ კომპონენტში შემავალ სასწავლო კურსებში *(იურიდიულ პროფესიათა ეთიკა, პრაქტიკუმები საჯარო, კერძო და სისხლის სამართალში)*, რომლებიც ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებას. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა განსაზღვრავს აღნიშნულ სასწავლო კურსებში შეფასების იმ კომპონენტებს, რომლებიც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისათვის. გეგმა, ასევე, განსაზღვრავს სამიზნე ნიშნულებს და დეტალურ გრაფიკს სამი წლის განმავლობაში სწავლის შედეგების მიღწევადობის შესაფასებლად (იხ. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (2022)).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია ○ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (2022) ○ პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა ○ კურიკულუმის რუკა ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამისათვის, მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების გათვალისწინებით, დადგენილია დაშვების წინაპირობები, კერძოდ:

„სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ამასთან, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგნად განსაზღვრულია გამოცდა მათემატიკაში, ისტორიაში ან სამოქალაქო განათლებაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.“

გარდა ზემოხსენებულისა, პროგრამაში აღნიშნულია, რომ „სპეციალობისათვის რელევანტური ინგლისური ენის კომპონენტზე დაშვების წინაპირობას ზოგადი ინგლისური ენის ცოდნის B1 დონე წარმოადგენს, რაც შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით დასტურდება. თუ სტუდენტი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების შედეგად ვერ დაადასტურებს ზოგადი ინგლისური ენის ცოდნის B1 დონეს, მისთვის, თავისუფალი კომპონენტის კრედიტების ფარგლებში, სავალდებულოა ზოგადი ინგლისური ენის შესაბამისი დონის სასწავლო კურსების არჩევა სპეციალობისათვის რელევანტური დარგობრივი ინგლისური ენის კომპონენტზე დაშვების მიზნით. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ზოგადი ინგლისური ენის ცოდნის B1 დონის ან უფრო მაღალი დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (TOEFL IBT, IELTS, FCE, CERTUS) ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი), თავისუფლდება შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებისგან.“

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით, გამოცხადებული აქვს მიღება, სადაც ჩასაბარებელ

უცხო ენად ინგლისურის გარდა, მითითებულია გერმანული, რუსული და ფრანგული ენები.[3] ამასთან, პროგრამაში სავალდებულოდ არის მითითებული დარგობრივი ინგლისურის სასწავლო კომპონენტები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ინტერვიუს ფარგლებში მიღებული განმარტების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი აბიტურიენტი სამართლის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებს გერმანული, რუსული ან ფრანგული ენის გამოცდის საფუძველზე ან მის მიერ ჩაბარებული ინგლისური ენის დონე შიდა საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგებით არ გაუთანაბრდება B1 დონეს, ასეთი სტუდენტები, პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ, გაივლიან უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ინგლისური ენის კურსს, რომელიც არის საკმაოდ ინტენსიური, მეცადინეობები ტარდება ყოველდღიურად და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის განცხადებით, სრულად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ზოგადი ინგლისური ენის კომპეტენციების B1 დონეზე ამაღლებას, რათა შემდგომ მათ შეძლონ დარგობრივი ინგლისური ენის სასწავლო კომპონენტის დაძლევა. ამასთან, ენის სწავლების მიზნებისათვის, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ამ პროფილის კომპანიასთან, რომელიც შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, უზრუნველყოფს საჭირო მასალებისა და მომსახურების მიწოდებას უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობები სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის საჯარო (უნივერსიტეტს ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია პროგრამებთან დაკავშირებით, აკრედიტაციის შემთხვევაში, ასევე, განახლდება სამართლის საბაკალავრო პროგრამის თაობაზე), ობიექტური და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

ამასთან, როგორც ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, პროგრამაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი დაშვების წინაპირობებში და შემდეგი პირობა - *„სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე“* - გულისხმობს ე.წ. საერთაშორისო მობილობას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, აღნიშნული აბზაცი ან საერთოდ ამოღებულ იქნეს დაშვების წინაპირობებიდან, ვინაიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, მინისტრის ბრძანებით ჩარიცხვის გზა, ასევე, გულისხმობს უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტების საერთაშორისო მობილობის გზით მიღებას, ან ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სამართალმცოდნეობის პროგრამაზე უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.“

[3] იხ. ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარი, გვ. 454
https://www.naec.ge/uploads/postData/20-22/%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%202022/cnobari_web_20220708.pdf

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების განაცხადი და მასზე დართული დოკუმენტები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაშვების წინაპირობებში მითითებული პირობა - „სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე“ - ან საერთოდ ამოღებულ იქნეს, ვინაიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, მინისტრის ბრძანებით ჩარიცხვის გზა, ასევე, გულისხმობს უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტების საერთაშორისო მობილობის გზით მიღებას, ან ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სამართალმცოდნეობის პროგრამაზე უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გამოყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.“

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მარეგულირებელი წესების ამსახველ დოკუმენტს და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესსა და პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება მოდიფიცირებული პროგრამის შემუშავებაში არამარტო სხვადასხვა დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობა, არამედ მათი რეკომენდაციების შესაბამისი ანალიზი და პროგრამაში ასახვა.

პროგრამის მოდიფიცირებისას უნივერსიტეტმა, ასევე, გამოიყენა პროგრამის გარე შეფასების მექანიზმები: იხელმძღვანელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის N MES 1 21 0000050846 გადაწყვეტილებით, შეასრულა გადაწყვეტილებაში ასახული რეკომენდაციები და ნაწილობრივ გაითვალისწინა წინა აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა დასკვნაში განსაზღვრული რჩევები, ასევე, შესწავლილი და გათვალისწინებული იქნა უცხოური გამოცდილება. პროგრამის სტრუქტურის შემუშავებისას განსაკუთრებით გათვალისწინებული იქნა ბერნის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მოდელი: პროგრამის სტრუქტურა აგებულია იმგვარად, რომ იწყება შესავალი/ზოგადი სასწავლო კურსებით და სრულდება პრაქტიკულით, რაც ხელს უწყობს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამტკიცებას.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს *(დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 2.1. სტანდარტი),* სწავლის შედეგებსა *(დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 1.2. სტანდარტი)* და სტრუქტურას. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. კურიკულუმი მოიცავს 240 კრედიტს (ერთი კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ჯამს) და შედგება შემდეგი მოდულებისაგან:

(1) <u>ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები (10 ECTS)</u> - მოიცავს *ინფორმაციული ტექნოლოგიებისა* და *წერითი და ზეპირი კომუნიკაციების უნარების* სასწავლო

კურსებს და ორიენტირებულია სტუდენტების ზოგადტრანსფერული უნარების განვითარებაზე;

(2) <u>ძირითადი სპეციალობის კომპონენტი (210 ECTS)</u> - თავის მხრივ, მოიცავს **სპეციალობის სავალდებულო კომპონენტს (165 ECTS)** და **სპეციალობის არჩევით კომპონენტს (45 ECTS)**:

2.1. **სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი (165 ECTS)** მოიცავს:

- **B1 და B2 დარგობრივი ინგლისური ენის 2 სავალდებულო სასწავლო კურსს** (ჯამში 10 ECTS);
- **სპეციალობის საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსებს** (*შესავალი სამართალმცოდნეობაში, ქართული სამართლის ისტორია, რომის სამართლის საფუძვლები* - ჯამში 15 ECTS)
- **საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს** (45 ECTS), **კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს** (55 ECTS) და **სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს** (25 ECTS) - ჯამში 120 ECTS - ეთმობა საბაკალავრო საფეხურზე აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციის გამომუშავებას და მოიცავს სასწავლო კურსებს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის დისციპლინებში, რომლებიც ლოგიკური თანმიმდევრობით ნაწილდება სწავლების სხვადასხვა სემესტრში.
- **ცოდნისა და უნარებისგანმამტკიცებელი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს** (ჯამში 20 ECTS) - *იურიდიულ პროფესიათა ეთიკა და პრაქტიკუმები საჯარო, კერძო და სისხლის სამართალში* - ორიენტირებულია სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განმტკიცებაზე.

2.2. <u>**სპეციალობის არჩევითი კომპონენტი (45 ECTS)**</u> - თავის მხრივ, მოიცავს ***საბაზისო სასწავლო კურსებს***, ***საჯარო სამართლის მოდულის***, ***საერთაშორისო სამართლის მოდულის***, ***კერძო სამართლის მოდულის***, ***სისხლის სამართლის მოდულისა*** და ***ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი კომპონენტის*** *(შედგება საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკული სამართლის კლინიკისგან)* არჩევით სასწავლო კურსებს. აღნიშნული სასწავლო კურსები შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს მისი ინტერესის შესაბამისი მიმართულებით სამართლის შესაბამის დარგში მიიღოს/გაიფართოვოს ცოდნა (სამართლის სხვადასხვა მიმართულებით შეთავაზებული სასწავლო კურსების არჩევით) ან/და განამტკიცოს პრაქტიკული ან კვლევითი უნარები (საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით ან სამართლის კლინიკის არჩევით) და შეთავაზებული 59 კრედიტიდან ჯამში დააგროვოს 45 კრედიტი. არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება სასწავლო გეგმის მიხედვით. გათვალისწინებულია შესაბამისი სასწავლო კურსის წინაპირობები და სასწავლო კურსების ლოგიკური

თანმიმდევრობა.

(3) <u>თავისუფალი კომპონენტი (20 ECTS)</u>.

პროგრამის, სასწავლო გეგმისა და სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზით დგინდება, რომ სასწავლო კურსები, სემესტრების მიხედვით, განაწილებულია შემდეგი პრინციპით: სწავლების დასაწყისში სტუდენტები გადიან გაცნობითი/ზოგადი ხასიათის საგნებს. ყოველ შემდეგ სემესტრში შეთავაზებული საგნების სირთულე იზრდება შინაარსობრივი თვალსაზრისით და ითვალისწინებს სხვადასხვა დისციპლინებს, როგორც პრერეკვიზიტებს შესაბამისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. პროგრამაში შემავალი საგნების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა აწყობილი. სწავლების ბოლოს, ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტი სავალდებულოდ გადის პრაქტიკუმს საჯარო სამართალში, პრაქტიკუმს კერძო სამართალში და პრაქტიკუმს სისხლის სამართალში. აღნიშნული კურსები განამტკიცებს სტუდენტის მიერ საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მოდულის ფარგლებში გავლილ სასწავლო დისციპლინებში მიღებულ ცოდნასა და მიმართულია სამართლის შესაბამის დარგში სტუდენტის პრაქტიკული უნარების განმტკიცებაზე. ამასთან, ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, საკუთარი არჩევანი გააკეთოს საბაკალავრო ნაშრომის არჩევით კვლევითი უნარების განმტკიცებაზე ან სამართლის კლინიკის არჩევით - პრაქტიკული უნარების განმტკიცებაზე.

ამდენად, სავალდებულო კომპონენტების სასწავლო კურსების ჯამური მოცემულობა შეესაბამება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისათვის კანონმდებლობით დადგენილი კრედიტების გადანაწილების მოცულობას და უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის დაინტერესების მიხედვით სასწავლო კურსების არჩევითობა, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს საკუთარი არჩევანის მიხედვით განავითაროს საკუთარი პროფილი, მისი ინტერესების შესაბამისად მიიღოს ცოდნა და განავითაროს/განამტკიცოს პრაქტიკული ან კვლევითი უნარები.

აკრედიტაციის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუს შედეგებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ხორციელდება კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, მისი თანმიმდევრობა შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო პროგრამის საფუძველზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შემუშავებაში, ყველა დაინტერესებული მხარეა ჩართული, ხოლო მიღებული შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების

ინსტრუქცია ○ კურიკულუმის რუკა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში ჩამოყალიბებულია კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად - საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო

კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსის სილაბუსი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სასწავლო კურსის დასახელება, კოდი, სასწავლო კურსის საფეხური, სწავლების სემესტრი, კურსის განმახორციელებელი და საკონტაქტო ინფორმაცია, სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი), კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, დაშვების წინაპირობა, სასწავლო კურსის მიზნები, სასწავლო კურსის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი ყოველკვირეული თემატიკის გათვალისწინებით, სწავლება-სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო მასალა (ძირითადი/ დამხმარე).

თითოეული სასწავლო კურსი ლოგიკურად არის ორგანიზებული სემესტრების მიხედვით, რაც ნათლადაა ასახული კურიკულუმის რუკაზე. კურიკულუმის რუკა ყოველ სასწავლო კურსთან მიმართებით განსაზღვრავს, თუ რა დონით ავითარებს მოცემული კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).

სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კონკრეტული საგნის სპეციფიკას, მოცულობასა და მისი შესწავლისათვის აუცილებელ დროს.

კურსის შეფასებაში გამოიყენება სხვადასხვა შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველ-ყოფს სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. ფასდება როგორც სტანდარტული შუალედური და ფინალური გამოცდები, ასევე სტუდენტის მიერ შესრუ-ლებული პრაქტიკული დავალება, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, პრეზენტაცია, და სხვ.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ორიენტირებულია დარგის თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსებით განსაზღვრული სასწავლო მასალები წარმოდგენილი და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საბაკალავრო პროგრამის, შესაბამისი სილაბუსებისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით, თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში მანამდე არსებული სასწავლო კურსები გაყოფილია ორ სასწავლო კურსად. ასეთი სასწავლო კურსებია: სამოქალაქო საპროცესო სამართალი I და სამოქალაქო საპროცესო სამართალი II, სისხლის საპროცესო სამართალი (ზოგადი ნაწილი) და სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი), ადმინისტრაციული სამართალი (საჯარო მმართველობა) და ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება). აღნიშნული მიდგომა მისასალმებელია, რამეთუ ხელს უწყობს სასწავლო თემატიკის უფრო სიღრმისეულად შესწავლას. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა,

რომელთაც აღნიშნული სასწავლო კურსები ძველი - გაერთიანებული ფორმატით გაიარეს, დადებითად შეაფასეს პროგრამაში განხორციელებული ცვლილება. მათ აღნიშნეს, რომ მაგალითისათვის, სისხლის სამართლის პროცესის სრული თემატიკის ერთ სემესტრში ათვისება მათთვის ურთულესი ამოცანა იყო. შესაბამისად, პროგრამაში განხორციელებული ეს ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს.

თუმცა, საყურადღებოა, სასწავლო კურსებში, ადმინისტრაციული სამართალი (საჯარო მმართველობა) და ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება) მითითებული საკითხები.

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული შედეგები და სტუდენტს ჰქონდეს სტრუქტურული და ლოგიკური ცოდნა ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის თაობაზე, მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული სამართლის (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული თემატიკა გადამუშავდეს და სალექციო თემატიკის თანმიმდევრობა შეიცვალოს სასწავლო კვირების გათვალისწინებით, კერძოდ:

1. მე-6 კვირაში სტუდენტი სწავლობს თემას სახელწოდებით „მოქალაქე და ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა“. ამ დროისათვის მას ჯერ შესწავლილი არ აქვს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის არც ერთი ფორმა მაშინ, როდესაც სწორედ კანონიერი და უკანონო ღონისძიების გააზრება დაეხმარება სტუდენტს იმსჯელოს ორგანოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტზე (კოდექსით წესრიგდება როგორც ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერი ღონისძიებით, ისე უკანონო ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი). შესაბამისად, ლოგიკურია, რომ სტუდენტი ჯერ გაეცნოს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმებს და შემდგომ შეისწავლოს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები. ამდენად, სილაბუსში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ სალექციო საათები წინ უნდა უსწრებდეს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის შესახებ საკითხებს.

2. კითხვის ნიშნებს იწვევს ასევე მე-7-10 კვირებს შორის თემების განაწილების საკითხი. მე-7 კვირაში სტუდენტი შეისწავლის თემას: „ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ფორმები, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი“. მე-8-9 კვირაში გათვალისწინებულია შუალედური გამოცდა. მე-10 კვირის სემინარი ეთმობა შუალედური გამოცდის შედეგების განხილვას, ხოლო ლექცია ეთმობა თემის: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება და უკანონობა, არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განხილვას. აღნიშნული თემები იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ცალსახად განსახილველია ერთმანეთის თანმიმდევრობით, ვინაიდან მე-10 კვირის სალექციო თემატიკა აკონკრეტებს და დეტალებში განიხილავს მე-7 კვირის თემატიკას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობისა და მის მიერ გამოცემული აქტების შესახებ. ამდენად, მიზანშეწონილია, მე-7-10 კვირის

სალექციო თემატიკის სრულად დაფარვის შემდგომ, ჩატარდეს შუალედური შეფასება მაშინ, როცა სტუდენტს აქვს ცოდნა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის, მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ამ აქტების სახეების შესახებ.

3. სტუდენტი მე-12 კვირაში შეისწავლის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან დაკავშირებულ საკითხს, ხოლო მე-13 კვირაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესახებ საკითხებს. შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი მთავარი სუბიექტის, ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ცოდნას სტუდენტი შეიძენს მხოლოდ მე-12-13 კვირებში. სილაბუსის მიხედვით, სტუდენტი ჯერ სწავლობს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმებს, მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს და მხოლოდ მე-12-13-ე კვირებში იფარება თემატიკა ამ მთავარი სუბიექტის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსის თანახმად, მე-6 კვირას წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი საკითხები, (კერძოდ, მოქალაქისა და ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები, მოქალაქის უფლებები საჯარო ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას, მოქალაქეზე ორიენტირებული საჯარო ადმინისტრაცია, მოქალაქე, როგორც „საჯარო სერვისების მომხმარებელი, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი, მათი ურთიერთდახმარების ვალდებულება, სამართლებრივი დახმარების პირობა და ფარგლები, უარი დახმარების აღმოჩენაზე, დახმარებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურება და სხვ.) აღნიშნული არ გულისხმობს კონკრეტულად ადმინისტრაციული ორგანოს რაობის მიმოხილვას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სალექციო კურსის დასაწყისში გადატანილ იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ მე-12-13-ე კვირებით გათვალისწინებული თემატიკა, რომ სტუდენტს წარმოდგენა ჰქონდეს იმ სუბიექტის შესახებ, რომლის საქმიანობის ფორმებისა და პასუხისმგებლობის თაობაზე საკითხებსაც შეისწავლის მომდევნო კვირებში.

აღსანიშნავია, აგრეთვე, სასწავლო კომპონენტი „ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება)“. ამ სასწავლო კურსში მოცემული საკითხები უფრო მეტად ორგანიზებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შინაარსის შესაბამისად. შესასწავლი საკითხებია: სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული წარმოება, ადმინისტრაციული საჩივარი და სხვ. საგანი ორიენტირებულია ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის საკითხების ამოწურვისაკენ. თუმცა, აქვე ვხედავთ მცდელობას, დაიფაროს ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული (კერძო) ნაწილიდან გარკვეული საკითხები. მე-14 კვირაში სტუდენტი შეისწავლის ადმინისტრაციული წარმოების ცალკეული სახეებს, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული წარმოებას, ხოლო მე-15 კვირაში - ადმინისტრაციული წარმოების სხვა სახეს - სახელმწიფო შესყიდვებს. ამ ორი თემით სრულდება ადმინისტრაციული წარმოების კონკრეტული ფორმების შესწავლა. ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილის მოცულობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე,

გაუგებარია, თუ რა გახდა მხოლოდ ამ საკითხების სილაბუსში მითითების მიზეზი.

შესაბამისად, მიზანშეწონილია გადაიხედოს საგნის ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება) შინაარსი და თემატიკა. მნიშვნელოვანია, დოკონკრეტდეს, თუ რა მიზანს ისახავს აღნიშნული საგანი: შესძინოს სტუდენტს ცოდნა ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებების შესახებ, თუ დაიფაროს ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებული სფეროების და შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ საკითხები.

გარდა ზემოხსენებულისა, სამართლის პროგრამაში მოცემულია არჩევითი სასწავლო კომპონენტი „სამართლის მეთოდები", რომლის მიზანია „მისცეს ფართო თეორიული ცოდნა სამართლის მეთოდების არსის, სამართლის მეთოდების ისტორიული განვითარების, ინტერპრეტაციის კლასიკური არგუმენტების, გრამატიკული, ისტორიული, ტელეოლოგიური, სისტემური განმარტებების, განმარტების ხერხების იერარქიის, შედარებითი სამართლისმცოდნეობის, სამოსამართლო სამართალის, ანალოგიისა და იურიდიული სილოგიზმის, სამართლის მეთოდებისა და სამართლის პოლიტიკის, საერთაშორისო სამართლისა და კონსტიტუციური ნორმების თავისებურებების, სამართლის პრინციპების განმარტების, ასევე სამართლის შეფარდების სტადიების შესახებ;

გამოუმუშავოს სამართლის ნორმის ინტერპრეტაციისა და იურიდიული არგუმენტაციის, ასევე იურიდიული აზროვნების განვითარებული უნარები."

ამასთან, აღნიშნული სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდგომ, სტუდენტი:

-აღწერს სამართლის მეთოდების საგანს, სამართლის მეთოდების ისტორიული განვითარების ეტაპებს, ინტერპრეტაციის კლასიკურ არგუმენტებს, გრამატიკულ, ისტორიულ, ტელეოლოგიურ, სისტემურ განმარტებებს, განმარტების ხერხების თანმიმდევრობას, სამოსამართლო სამართლის ინსტრუმენტებს, განმარტების მიზანს და საშუალებებს, ანალოგიის წინაპირობებს, სამართლის პრინციპებსა და ღირებულებებს, სამართლის პრინციპების განმარტების თავისებურებას, ასევე ანალოგიის წინაპირობებს;

-ხსნის მორალის, ზნეობის და ჩვეულების კატეგორიებს იურიდიული არგუმენტაციისა და ნორმათა განმარტების პროცესში, ასევე საერთაშორისო სამართლისა და კონსტიტუციის მნიშვნელობას ნორმათა განმარტების პროცესში;

-განსაზღვრავს სამართლის მეთოდების ადგილს მეცნიერებათა საერთო სისტემაში, სამართლის მეთოდების მნიშვნელობას იურიდიული პრაქტიკისათვის, სამართლის მეთოდების შემეცნებით შესაძლებლობებს, ასევე შედარებითი სამართალმცოდნეობის როლს ნორმათა ინტერპრეტაციისას.

-აანალიზებს სამართლის თეორიას, სამართლის ფილოსოფიასა და სამართლის მეთოდებს შორის ურთიერთკავშირს;

-ადგენს სამართლის შეფარდებას, სამართლის განვითარებასა და სამართალშემოქმედებას შორის

ურთიერთკავშირს და საზღვრებს;

-აანალიზებს მორალის, ზნეობის და ჩვეულების კატეგორიებს და ცნებითი კატეგორიების გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს იურიდიული არგუმენტაციისა და ნორმათა განმარტების პროცესში, ზეპირი და წერითი ფორმით.“

აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებთან ინტერვიუსა და შრომის ბაზრის კვლევის შედეგების, ასევე, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, როგორც ფართოდ გავრცელებული მოსაზრებებით ხშირად გვსმენია, სამართლის პროგრამის კურსდამთავრებულთა მიმართ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ ისაა, რომ მათ შეეძლოთ კანონის სწორად წაკითხვა და საკუთარი მოსაზრების ლოგიკურად, არგუმენტირებულად გადმოცემა. კანონის სწორად წაკითხვა კი, პირველ რიგში, სწორედ წყაროს სწორად შერჩევას, სამართლის ნორმების განმარტების მეთოდების ცოდნას, ამ განმარტების პროცესში მორალის, ზნეობისა და ჩვეულების კატეგორიების, სამოსამართლეო პრაქტიკის მნიშვნელობის ცოდნას, შემდგომ კი სწორად ნორმის სწორად შეფარდებას გულისხმობს. სამართლის მეთოდების სასწავლო კურსის მთავარი მიზანი და მისი დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ უმთავრესი მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. შესაბამისად, სასურველია, აღნიშნული სასწავლო კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში არჩევითის ნაცვლად, სავალდებულო საგნების ბლოკში იქნეს გადატანილი.

რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული სამართლის (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული თემატიკა გადამუშავდეს და სალექციო თემატიკის თანმიმდევრობა შეიცვალოს სასწავლო კვირების გათვალისწინებით, კერძოდ:
   1.1. სილაბუსში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ სალექციო საათები წინ უნდა უსწრებდეს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის შესახებ მე-6 კვირაში გათვალისწინებულ საკითხებს.
   1.2. შუალედური შეფასება ჩატარდეს მე-7 და მე-10 კვირის სალექციო თემატიკის სრულად დაფარვის შემდგომ მაშინ, როცა სტუდენტს აქვს ცოდნა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის, მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ამ აქტების სახეების შესახებ.
   1.3. სალექციო კურსის დასაწყისში გადატანილ იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ მე-12-13-ე კვირებით გათვალისწინებული თემატიკა, რომ სტუდენტს წარმოდგენა ჰქონდეს იმ სუბიექტის შესახებ, რომლის საქმიანობის ფორმებისა და პასუხისმგებლობის თაობაზე საკითხებსაც შეისწავლის მომდევნო კვირებში.
2. მიზანშეწონილია, გადაიხედოს საგნის ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება) შინაარსი და თემატიკა. მნიშვნელოვანია,

დოკონკრეტდეს, თუ რა მიზანს ისახავს აღნიშნული საგანი: შესძინოს სტუდენტს ცოდნა ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებების შესახებ, თუ დაიფაროს ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებული სფეროების და შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ საკითხები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, სასწავლო კომპონენტი „სამართლის მეთოდები“ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში არჩევითის ნაცვლად, სავალდებულო საგნების ბლოკში იქნეს გადატანილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტების, ასევე, თავად საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების ანალიზისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგების მიხედვით, სამართლის საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, გამოყენებულია ე.წ. შერეული პრაქტიკის მოდელი, რაც გულისხმობს იმას, რომ პრაქტიკული ნაწილი პროგრამაში ინტეგრირებულია როგორც თეორიულ კურსებში, ისე დამოუკიდებელი კომპონენტების სახით. ამგვარად, სტუდენტი პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებულ ცოდნასა და გამოცდილებას, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებისაგან იზიარებს სწავლების პირველივე ეტაპიდან, თეორიული ცოდნის

მიღების კვალდაკვალ, ხოლო გარკვეული საბაზისო ცოდნის დაგროვების შემდგომ, შესაბამისი წინაპირობების დაცვით, იგი დამამთავრებელ სემესტრებში გადის უკვე დამოუკიდებელ პრაქტიკულ კომპონენტებს. მაგალითად, პროგრამაში სასწავლო კომპონენტად გათვალისწინებულია სახელშეკრულებო სამართალი, რომლის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტის ცოდნის შეფასება სხვა მეთოდებთან ერთად, ხორციელდება კაზუსის ამოხსნის გზით. ასევე, იგი ვალდებულია გააკეთოს ზეპირი პრეზენტაცია, რომლის ფარგლებში უნდა შეადგინოს და წარადგინოს კონკრეტული ხელშეკრულება, ნასწავლი თეორიული მასალის მიხედვით. თუმცა, აღნიშნული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელ ლექტორის მიერ, ინტერვიუს ფარგლებში გაკეთებული განაცხადის თანახმად, თეორიული მასალა სახელშეკრულებო სამართალში იმდენად დიდია და შინაარსობრივი, რომ შეუძლებელია პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის საჭირო დროის გამოყოფა. ამიტომაც პროგრამაზე მუშაობისას, მათ შორის, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებით, კურიკულუმს დაემატა ცალკე პრაქტიკული კურსი - პრაქტიკუმი კერძო სამართალში, რომლის ფარგლებში დრო სრულად ეთმობა კონკრეტული ხელშეკრულებების პრაქტიკულ განსხვავებებსა და მათი შედგენის უნარების გამომუშავებას. გარდა სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისა, სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ არჩევითი კურსები, რომლებიც, ასევე, აძლევს საშუალებას როგორც სწავლის საწყის, ისე დამამთავრებელ ეტაპზე, მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე გამოიმუშაონ სამეცნიერო-კვლევითი, კომუნიკაციისა თუ პრაქტიკული უნარები, სწავლების საფეხურის დონის შესაბამისად, პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით. მათ, ასევე, აქვთ საშუალება, სურვილის შემთხვევაში, იმუშაონ საბაკალავრო ნაშრომზე ან მონაწილეობა მიიღონ პრაქტიკული სამართლის კლინიკის მუშაობაში. ამ უკანასკნელის მიზნებისათვის, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ამასთან, როგორც ინტერვიუს ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელმა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საერთაშორისო პარტნიორობის დამყარების მიზნით ახალი სასწავლო წლიდან.

გარდა ზემოხსენებულისა, ფაკულტეტი უზრუნველყოფს კონფერენციების, საჯარო ლექციების, გასვლითი შეხვედრების ორგანიზებას, სტუდენტთა მონაწილეობას საერთაშორისო საზაფხულო სკოლებსა და სხვა პროექტებში.

ამასთან, აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს პარტნიორობის თაობაზე არაერთი მემორანდუმი თუ ხელშეკრულება, რომელთა ნაწილი საჭიროებს განახლებასა და გადახედვას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ახალი სასწავლო წლისათვის აღნიშნული პროცესი ინტენსიურად განხორციელდეს და გადაიხედოს არამხოლოდ ამ დოკუმენტთა მოქმედების ვადები, არამედ შინაარსობრივი საკითხებიც და შეთანხმება განხორციელდეს იმ კონკრეტულ აქტივობებსა და ღონისძიებებზე, რის განხორციელებასაც რეალურად უზრუნველყოფს პარტნიორი დაწესებულება. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას თან ახლავს მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების დიდი

რაოდენობა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა პროგრამის მიზნებსა და კურიკულუმთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ინტერვიუს პროცესში მიღებული განმარტების თანახმად, ბევრი მათგანი მოდიფიცირებული პროგრამის მიზნებისათვის აღარ იქნება რელევანტური, თუმცა სააკრედიტაციო განაცხადთან ერთად წარდგენილ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი პროგრამის მიზნებისათვის ისინი დაწესებულებას გაფორმებული აქვს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ განახლებული პროგრამის კურიკულუმის გათვალისწინებით, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებისათვის მოაზრებულ პარტნიორ დაწესებულებებთან, პროგრამის მოდიფიცირების პროცესში გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები ძირითადად ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, ასევე სტუდენტების რაოდენობას, რომელთა მიღებას უზრუნველყოფს პარტნიორი დაწესებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია ○ პროგრამა და სილაბუსები ○ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, ახალი სასწავლო წლისათვის გადაიხედოს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიერ, პროგრამის მოდიფიცირებამდე გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები და განხილულ იქნეს ამ დოკუმენტზე ხელმომწერი მეორე მხარის, პარტნიორი ორგანიზაციების მზაობა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის თაობაზე და ამ შემთხვევაში, უნდა განახლდეს შეთანხმების დოკუმენტები არამხოლოდ მოქმედების ვადების, არამედ შინაარსობრივი საკითხების ჭრილში, დაკონკრეტდეს ის აქტივობები და ღონისძიებები პროგრამის მიზნებისა და კურიკულუმის გათვალისწინებით,, რის განხორციელებასაც რეალურად უზრუნველყოფს პარტნიორი დაწესებულება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტზე, რომელიც მთავარი აქტორი და ბენეფიციარია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისა. გარდა აღნიშნულისა, დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის შედეგად, იკვეთება, რომ მიუხედავად სამართლის პროგრამის რეგულირებადი პროფესიებისადმი კუთვნილებისა, საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულს მაინც სთხოვენ თეორიულ ცოდნასთან ერთად საბაზისო პროფესიულ უნარებს. შესაბამისად, მთლიანად პროგრამის განხორციელებისა და მისი შემადგენელი თითოეული სასწავლო კომპონენტის სწავლების მეთოდები მიმართული უნდა იყოს პროგრამის მიზნების მიღწევასა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესრულებაზე.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამისა და თანდართული სილაბუსების გაცნობის შედეგად, დგინდება, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების მეთოდების საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანი, მათ შორის, ვერბალური ახსნა-განმარტება, წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, დემონსტრირება, შემთხვევის ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), გონებრივი იერიში (Brainstorming), ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD), როლური და სიტუაციური თამაშები, ანალიზი, დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია, პრაქტიკული მეთოდები, დამოუკიდებელი სწავლა და სხვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მეთოდები შერჩეულია თითოეული სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე და შესაბამისი შედეგების მისაღწევად კომპლექსური სახითაა წარმოდგენილი სილაბუსებში. ამასთან, აღნიშნული მეთოდები შერჩეულია იმგვარად, რომ სტუდენტმა მოახდინოს თეორიული ცოდნის დემონსტრირება და იმავდროულად, გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარები.

გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ინტერვიუს შედეგებით, სხვადასხვა პანელზე განხორციელებული გამოკითხვებით, განსხვავებული აუდიტორიების მიერ დადასტურდა, რომ პროგრამის განახლების პროცესში, კურიკულუმის აგებისა და სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისათვის გათვალისწინებული იქნა სტუდენტებისა და დამსაქმებლების მოთხოვნები და ინიციატივები. შესაბამისად, თითოეული სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდი უზრუნველყოფს როგორც ცალკეული სასწავლო კომპონენტით დაგეგმილი, ისე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების განაცხადი და თანდართული დოკუმენტები ○ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები ○ პროგრამა და სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, სტუდენტთა შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სტუდენტთა შეფასება მრავალკომპონენტიანია და უზრუნველყოფს შესაბამისი კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის თანახმად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას. საგანამანთლებლო პროგრამით შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილებულია და განსაზღვრულია ამგვარად:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან

აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

წარმოდგენილი სამართლის საგანმანათლებლო პროგრამით, დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს, რომელთა საშუალებით დგინდება, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სასწავლო კურსის სილაბუსებით დგინდება, რომ სხვადასხვა სასწავლო კურსში მოცემული სწავლის შეფასების კომპონენტები განსაზღვრულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შეფასების ობიექტურობა დაცულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კომპონენტებით (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.).

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა იცოდეს, რა კომპონენტებით შეაფასებენ მის სასწავლო საქმიანობას. შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით შერჩეულია სტუდენტის ცოდნისა და უნარების

მაქსიმალურად ადეკვატური შეფასების მეთოდები (ტესტი, ესსე, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების სანდოობა უზრუნველყოფილია კონკრეტულად ჩამოყალიბებული შეფასების ზუსტი და მკაფიო კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასება გამჭვირვალეა, ვინაიდან შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის.

ინტერვიუირების პროცესში დადასტურდა, რომ ლექტორი საგნის სწავლებისას, სემესტრის პირველ სასწავლო კვირას, სტუდენტებს აცნობს და აანალიზებს შეფასების სისტემას. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები საშუალებას აძლევს ლექტორს გაზომოს სასწავლო შედეგი და მისი მიღწევის ხარისხი.

ინტერვიუირების პროცესში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ. აღნიშნულ პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ ადგილი ჰქონდა პროგრამაში არსებული კონკრეტული საგნის სწავლებით უკმაყოფილებას, რაც გამოხატეს სტუდენტებმა შეფასებების დროს (საზღვაო სამართალი), რაც პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციის მხრიდან იქნა გათვალისწინებული და იგი შეიცვალა სხვა საგნით.

ამასთან, დადასტურდა რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. აღნიშნული დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგებით. შესაბამისად, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით.

სასწავლო კურსების შედგენის, მათი განახლების და გაუმჯობესების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ისინი იღებენ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, შეფასების მექანიზმებისა და მიდგომების შესახებ. აღსანიშნავია, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია როგორც სამართლის საბაკალავრო პროგრამა, ისე შესაბამისი სილაბუსები.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას; საგანმანათლებლო პროგრამით, სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან

უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, აკადემიური პერსონალის მხრიდან გამოითქვა სურვილი ფინალური გამოცდების შედეგების განხილვის საშუალებაც მიეცეთ სტუდენტებთან ერთად, რადგან, სამწუხაროდ, ეს ვერ ხორციელდება არსებული სასწავლო ცხრილიდან გამომდინარე. ინტერვიუირების პროცესში პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა და პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტეს, რომ სტუდენტთა სწავლის შედეგებს აკვირდებიან. დაკვირვების ობიექტია აგრეთვე სტუდენტთა კონკრეტული კმაყოფილება თუ უკმაყოფილება. სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელებულა ზედმეტად რთული ან ზედმეტად მარტივი სახელმძღვანელოების ჩანაცვლება. საგანმანათლებლო პროგრამით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და ინტერვიუს შედეგებით ირკვევა, რომ სტუდენტს აქვს საშუალება გაასაჩივროს შეფასების შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი შესახებ დოკუმენტი ○ ინტერვიუირების შედეგები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან

დაკავშირებულ მხარდაჭერას.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. მიზანშეწონილია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი.

აკრედიტაციის ვიზიტისას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერაში მონაწილეობს უნივერსიტეტის არაერთი თანამშრომელი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, ასევე, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა https://sis.ibsu.edu.ge/ და ელექტრონული შეტყობინების სიტემებიდან https://smart.ibsu.edu.ge/ მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ. ვებ-გვერდზე სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია როგორც სასწავლო პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, ისე სასწავლო კურსების შესახებ მონაცემები.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ისეთი სამართლებრივი აქტები, როგორებიცაა: სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და აშ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია მიიღონ ფაკულტეტის დეკანის და ადმინისტრაციის სხვა წევრებისაგანაც.

სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, ფაკულტეტის დეკანატისაგან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისაგან და კანცელარიისგან მიიღოს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების (მაგალითად, დაგეგმილი კონფერენციების, შიდასაუნივერსიტეტო და სხვადასხვა ფონდების მიერ დაწესებული/გამოცხადებული სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების და სხვ.) შესახებ.

ამასთან, კონსულტაციების და დახმარების მიღება სტუდენტს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია ფაკულტეტის დეკანატში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, კანცელარიაში და უნივერსიტეტის სხვა

დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში.

კომუნიკაციის საშუალებებად უნივერსიტეტში ეფექტურად გამოიყენება სოციალური ქსელებში შექმნილი სპეციალური ჯგუფები და გვერდები.

სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდიდან სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ჩაბარებული და რეგისტრირებული (მიმდინარე) საგნების შესახებ, მიღებული შეფასებების შესახებ. აქვეა განთავსებული სტუდენტის პირადი მონაცემები.

ინტერვიუირების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გარემო მათ ინტერესებზე მორგებულია, საკმარისადაა დასასვენებელი და სამუშაო სივრცეები, ასევე, ბიბლიოთეკაში არის წვდომა ელექტრონულ თუ სხვა სახის ლიტერატურაზე. სტუდენტების თქმით ისინი აქტიურად არიან ჩართულები სტუდენტურ ცხოვრებაში და ახორციელებენ არაერთ აქტივობას. მათ ისაუბრეს, ასევე, სტუდენტური თვითმმართველობის აქტივობებზეც, რომელიც არაერთ ღონისძიებას ახორციელებს კონკრეტულად სამართლის ფაკულტეტის მისამართით. მესამე კურსის სტუდენტმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დეკანატი აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტებს და რეკომენდაციებს უწევს სხვადასხვა უწყებებში სტაჟირების გასავლელად. სტუდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ ისინი პერიოდულად აფასებენ ლექტორებს, რომლის შედეგების ასახვაც ხდება შემდგომ სემესტრებში, მაგალითისთვის დასახელებული იყო კონკრეტული შემთხვევა ლექტორის მისამართით, რაც გათვალისწინებული იქნა ადმინისტრაციის მხრიდან და წარმატებით აღმოიფხვრა აღნიშნული პრობლემა. სტუდენტებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ მათი ინიციტივითა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, შექმნეს „სამართლის დამოუკიდებელი სტუდენტური კლუბი," რომლის ეგიდითაც ორგანიზებას უწევენ მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები ახალი პროგრამის შედგენაში და მათი ინიციატივები ასახული და გათვალისწინებული იქნა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რაც კონკრეტულად გულისხმობდა მეტი პრაქტიკული უნარებისთვის საჭირო საგნების დამატებას, პრაქტიკული კომპონენტების გაზრდას, ასევე, კონკრეტულ საგნებთან მიმართებით: მაგალითად სამოქალაქო სამართლის გაყოფას 2 ნაწილად, რაც გათვალისწინებული იქნა.

ინტერვიურების დროს აღნიშნული იყო კმაყოფილება საგამოცდო სისტემასთან და სასტიპენდიო პროგრამებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში, სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალიც. უნივერსიტეტის რეგულაციებით, პერსონალი ვალდებულია განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება.

ვიზიტის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნული ვალდებულება პრაქტიკაშიც ხორციელდება. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებელი კონსულტაცია პირადი შეხვედრების გზით მიიღონ აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი

უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი უნივერსიტეტში მუშაობს, თუმცა მოითხოვს გაძლიერებას.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის როლი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის საკითხშიც. უნივერსიტეტში დასაქმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები სტუდენტს შეუძლია მიიღოს რომელიც უზრუნველყოფს ასევე სტუდენტის კარიერული განვითარების მხარდაჭერას.

ინტერვიურების დროს, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტის მხრიდან ისინი ხშირად იღებენ ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიებისა და ტრეინინგების შესახებ. ინფორმაციის მოწოდების ძირითად წყაროდ სტუდენტები და კურსდამთავრებულები სოციალურ ქსელებში შექმნილ სპეციალურ ჯგუფებსა და გვერდებს ასახელებენ.

აღსანიშნავია ისიც, უნივერსიტეტი თანამშრომლობს არაერთ პარტნიორ დამსაქმებელ ორგანიზაციასთან.

ინტერვიუს პროცესში დამსაქმებლის მიერ აღნიშნა, რომ მისი კომპანია აქტიურად არის ჩართული პრაქტიკის მიმართულებით და ასაქმებენ უნივერსიტეტის სტუდენტებს. ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტთა პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პროცესში, მათ მუდმივი უკუკავშირი აქვთ უნივერსიტეტთან, რაც მოიცავს სტუდენტთა შეფასებას და კონკრეტული წინადადებების წარდგენას პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების თაობაზე.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტის როლი კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით თვალსაჩინოა. თუმცა, დამსაქმებელთა წრის გაფართოვება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის კიდევ მეტი შედეგის მომტანი იქნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევის დოკუმენტი
- სამართლებრივი ბაზრის კვლევა
- ინტერვიუს შედეგები
- ვებ-გვერდი

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის

აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა არის 18. აქედან 4 პროფესორია, 14 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტი.

აკადემიური პერსონალის ნაწილი - 8 პირი, არის აფილირებული უსდ-სთან, 1 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტი.

საბაკალავრო პროგრამაში ჩართულია 32 მოწვეული ლექტორი. ამდენად, სულ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 50-ს.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 120 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. უსდ-ის პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და აქტიური სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა არის 50/120. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამის აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის დაახლოებით 8/120. აღნიშნული მონაცემები საბაკალავრო სწავლების საფეხურისათვის მაღალ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, პროგრამას უნდა გააჩნდეს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე (აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული). ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს გამოთხოვილ იქნა პერსონალის დატვირთვის სქემა. შესაბამისად, წარმოდგენილ იქნა 2020-2021 წლის გაზაფხულის სემესტრის, 2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრის, 2021-2022 წლის გაზაფხულის სემესტრის დატვირთვის სქემები, ასევე შესაბამისი სემესტრების ანგარიშები (ე.წ. რეპორტები). თუმცა, აღნიშნული დატვირთვის სქემები გადმოგზავნილ იქნა პედაგოგების სახელებისა და გვარების გარეშე, რამაც შეუძლებელი გახადა აღნიშნული დოკუმენტის შინაარსის შესწავლა. გაუგებარია,

თუ რა გახდა დატვირთვის სქემაში პერსონალის სახელისა და გვარის დაფარვის საფუძველი. ექსპერტთა ჯგუფს ისედაც აქვს წვდომა უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის პერსონალურ მონაცემებზე, ასევე უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობაზე და ამ მონაცემთა არგამჟღავნების ვალდებულება კანონმდებლობით და ეთიკური სტანდარტების მიხედვით ეკისრებათ. წარმოდგენილი ფორმატიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა იმის შესწავლა, თუ კონკრეტულად რა მოცულობით, რამდენ სასწავლო კურსზე არიან დატვირთულები აკადემიური პერსონალის სიაში მოცემული პედაგოგები. თუმცა, დადასტურებულია ფაქტი, რომ უნივერსიტეტს გააჩნია დატვირთვის სქემა. წარმოდგენილი დატვირთვის სქემები შეიცავს ინფორმაციას პერსონალის სხვა საგანამანთლებლო დაწესებულებაში დატვირთვის შესახებაც. შესაბამისი ანგარიშებით კი დასტურდება, რომ კვირეული დატვირთვის გადამეტებაზე მონიტორინგი ყოველსემესტრულაად ხორციელდება.

პროგრამის სილაბუსებითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი დაბალია. საანგარიშო პერიოდში სამმა აკადემიურმა პერსონალმა დატოვა აკადემიური პოზიცია. ამავე პერიოდში პროგრამამ შეიძინა 7 აკადემიური პერსონალის წარმომაგდენელი, მათ შორის 3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი იმგვარია, რომ ხელი არ შეეშლება პროგრამის მდგრადობას.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, საბაკალავრო პროგრამის მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი დაბალია, და 6-ს შეადგენს. ამავე პერიოდის განმავლობაში სამაგისტრო პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობა 30-ს შეადგენს. შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელიც იმგვარია, რომ ხელი არ შეეშლება პროგრამის მდგრადობას.

უსდ-ის აკადემიური პერსონალი უხვადაა დაკომპლექტებული დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით. უსდ-ის მოწვეული პერსონალი დაკომპლექტებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებითა და პრაქტიკოსი იურისტებით. უსდ-ის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეძლებს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად - კონკურსის წესით. მოწვეული სპეციალისტების პროგრამაში ჩართვაც ხორციელდება კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად.

უსდ-ის აკადემიური პერსონალის თითქმის ყველა წარმომადგენელი სამეცნიერო

კვლევების მიმართულებით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები და მიღებული აქვთ მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებებში. ამ მიმართულებით გადამოწმდა უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეები და ავტობიოგრაფიები. თუმცა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ერთეული წარმომადგენელები ნაკლებად აქტიურნი არიან სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ავტობიოგრაფიებითა ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის რამოდენიმე წარმომადგენელს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ განუხორციელებია სამეცნიერო კვლევა და კვლევითი ნაშრომის პუბლიკაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-მ წარმოადგინა „აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულება“, რომელშიც ბოლო პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ასევე, უსდ-ის მიერ გაიზარდა კვლევითი აქტივობების წახალისების ღონისძიებები და დაფინანსება. აღნიშნული ქმედითი მექანიზმი იქნება უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო მიმართულებით გასააქტიურებლად. შესაბამისად, ექსპერტთა ჯუფის მოსაზრებით ზემოაღნიშნული საკითხის უახლოეს პერიოდში აღმოფხვრის პერსპექტივა რეალურია, დამაჯერებელია და გამყარებულია მტკიცებულებებით.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია.

მისასალმებელია, რომ სასწავლო კურსების ნაწილს ერთდროულად უძღვება რამდენიმე პედაგოგი, რომლებსაც განაწილებული აქვთ თემები. აღნიშნული დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუირების შედეგად. მაგალითად ასეთი კურსებია: პრაქტიკუმი კერძო სამართალში, პრაქტიკუმი სისხლის სამართალში, პრაქტიკუმი საჯარო სამართალში, იურიდიულ პროფესიათა ეთიკა და სხვ. აღნიშნულ ფაქტში დარწმუნება ვერ მოხერხდა დატვირთვის სქემიდან, რამეთუ ეს დოკუმენტი არასრულყოფილი ფორმით იყო წარმოდგენილი. თუმცა, ზემოაღნიშნული ფაქტი მაინც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუირების შედეგად.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა უზრუნველყონ დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელება. პროგრამის ხელმძღვანელები მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

აქვე აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს შედეგებით ნათლად შესამჩნევია ის ფაქტი, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია არმხოლოდ სწავლის სფეროს შესაბამისი ცოდნა და კომპეტენცია, არამედ იგი უზრუნველყოფს შესაბამისი მენეჯერული ფუნქციების განხორციელებას პროგრამის ადმინისტრირების პროცესში (პროგრამის შეფასებები, მუდმივად განახლება, შესაბამისი პროცესების დაგეგმვა, ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურთან კოორდინაცია, სტუდენტებთან შეხვედრა და სხვა).

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საერთო რაოდენობა არის 29. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა ადმინისტრაციული პერსონალის კომპენტენტურობაც. შესაბამისად, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და კომპეტენცია საკმარისია და ფარავს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ○ უსდ-ის შინაგანაწესი ○ დატვირთვის სქემები ○ დატვირთვის სქემათა შეფასების ანგარიშები ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ მისასალმებელია, რომ უსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ნაწილს ერთდროულად უძღვება რამდენიმე პედაგოგი, რაც დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგად.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წინამდებარე აკრედიტაციის სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის ფარგლებში, უპირველესად შესაფასებელია რეგულარულად აწარმოებს თუ არა უსდ პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

უსდ-ში მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 18 იანვრის N1 ოქმით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ (შემდგომში - „დებულება“). აღნიშნული „დებულების“ თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს: უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავებას; უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და შეფასებაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავებას; ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტთა მიერ ლექტორების პედაგოგიური დონის შეფასების გამოკითხვის ჩატარებას, მიღებული შედეგების დამუშავებას, ანალიზსა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას; უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასებას, მიღებული შედეგების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას და სხვა ღონისძიებებს.

სააკრედიტაციო დოკუმენტებში უსდ-ს წარმოდგენილი აქვს:

- სტუდენტების შეფასების შედეგების ამსახველი ფორმა სემესტრების მიხედვით (ნიმუში) ექსელის (microsoft excel) ფორმატში;
- აკადემიური პერსონალის წლიური შეფასების კრიტერიუმიები;
- მოწვეული ლექტორების წლიური შეფასების კრიტერიუმები;
- სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში (ბოლო 5 წელი);

- აკადემიური პერსონალის წლიური შეფასების ფორმა;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის თვითშეფასების ფორმა;
- სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების ფორმა;
- სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების შეჯამების დოკუმენტი (ფორმა) ექსელის (microsoft excel) ფორმატში;
- უშუალო უფროსის მხრიდან პერსონალის შეფასების ფორმა;
- პერსონალის თვითშეფასების კითხვარის ფორმა;
- დამსწრის მიერ ლექტორის შეფასების ფორმა;
- სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის შეფასების ფორმა;
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტაციული პერსონალის გამოკითხვის ფორმა, პროგრამის განვითარებასთან დაკავშრიებით;
- პროგრამის შემოწმების კრიტერიუმები (ე.წ checklist);
- დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასების ფორმა;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასების ფორმა;
- და სხვ.

სამწუხაროდ, ამ დოკუმენტების (ფაილების) უმეტესობა არ არის დასათაურებული ქართულ ენაზე. აღნიშნული დოკუმენტები არის ფორმები, რამეთუ ისინი წარმოდგენილ იქნა დებულების დანართებად.

აღსანიშნავია, რომ მასალებში მოცემულია 2017-2018, 2018-2019, 2019-2020 და 2020-2021 სასწავლო წელს წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშების ანალიზის დოკუმენტები.

უსდ-ის მხრიდან პერსონალის შეფასების ფაქტი, ასევე დადასტურდა ინტერვიუს პროცესში. კერძოდ, უნივესიტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიურმა პერსონალმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ პერსონალის შეფასება რეალურად ხორციელდება, ხოლო შედეგები ჯამდება და ხდება მათი ანალიზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უსდ აწარმოებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზს.

მისასალმებელია, რომ უსდ ასევე კრებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო აქტივობების შესახებ ინფორმაციას, დამადასტურებელ დოკუმენტებს, რაც ადასტურებს, რომ უსდ აკვირდება მათ პროფესიულ განვითარებას.

აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის ჭრილში, ასევე, საჭიროა განხილულ იქნეს უსდ-ის როლი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაში, ასევე, მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობაში. კერძოდ, მნიშვნელოვანია შეფასდეს:

- ხორციელდება თუ არა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები;
- შექმნილია თუ არა უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები და სხვა).
- მონაწილეობს თუ არა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში.

უსდ-ის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია პერსონალის ვალდებულება, იყვნენ სამეცნიერო მიმართულებით აქტიურნი. ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი მოკლე ავტობიოგრაფიებით (CV) ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის თითქმის ყველა წარმომადგენელი სამეცნიერო მიმართულებით აქტიურია. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის თანახმად, პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის გამოყოფილია კონკრეტული თანხა.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის ძალისხმევა სამეცნიერო კვლევების წახალისების მიმართულებით. უსდ-ის მმართველი საბჭოს მიერ 21/03/2022 წლის №13 ოქმით დამტკიცებულია „აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულება“. აღნიშნული დებულებით დარეგულირებულია უსდ-ის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების წახალისება. აღნიშნული დებულებით განსაზღვრულია, რომ სამეცნიერო ღონისძიების (სიმპოზიუმი, კონფერენცია, კონგრესი, პანელი და ა.შ.), მონაწილეს აუნაზღაურდება მონაწილეობის, მგზავრობისა და განთავსებისათვის საჭირო თანხები, დადგენილი ლიმიტების გათვალისწინებით. „დებულება“ აწესებს როგორც ხარჯების ანაზღაურებას, ისე ფინანსურ წახალისებას.

იგივე მიდგომაა სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების მიმართულებით. ანაზღაურდება, როგორც შესაბამისი ხარჯები, ისე პერსონალის წარმომადგენელს წასახალისებლად გადაეცემა კონკრეტული თანხა.

„დებულებით“ ხდება ასევე წიგნის/წიგნის თავის გამოცემის ხარჯების დაფარვა და პერსონალის წასახალისებლად მისთვის თანხის გადაცემა.

ასევე ხდება მთარგმნელობითი საქმიანობის, წიგნის რედაქტირებისათვის, გრანტის მოგებისთვის და სხვა ღონისძიებებისთვის წახალისება.

უსდ-მ წარმოადგინა 2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წლებში სამეცნიერო აქტივობების წასახალისებლად გაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია.

უნივერსიტეტში მოქმედებს სამართლის ჟურნალი, რომლის განვითარების მიზნებისათვის, შემუშავდა და 2022 წლის 22 ივნისს დამტკიცდა ჟურნალის დებულება. პერსონალს ასევე შესაძლებლობა აქვს აღნიშნულ ჟურნალში გამოაქვეყნოს სტატიები. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად ნაშრომების შერჩევა ხდება ღია კონკურსით ან რედაქციის მიერ შემუშავებული სპეციალური წესით (საპატიო ნაშრომის გამოქვეყნება). დებულებით განსაზღვრულია კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნაშრომი

გამოქვეყნებისათვის და ნაშრომის გამოქვეყნების პროცესი.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს სხვადასხვა სახის სწავლებას (ე.წ ტრეინინგები) პერსონალისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ უნივერსიტეტმა ჩაატარა ტრეინინგები შემდეგ საკითხებზე:

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი;
- საგრანტო შესაძლებლობები;
- SMART & SIS პლატფორმების ეფექტური გამოყენება;
- SIS-ის (სტუდენტურ მონაცემთა ბაზა) მომზადება სარეგისტრაციოდ;
- კურიკულუმის ელექტრონულად მომზადების გზამკვლევი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- სილაბუსი, სწავლების და შეფასების მეთოდები;
- განათლების თანამედროვე ტენდენციები;
- რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსებისა და პროგრამებისათვის განაცხადების მომზადება;
- G-suite Features;
- მონაცემთა ანალიზის ტრენინგი;
- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ავტორიზაციისათვის მოსამზადებელი ტრენინგი;
- თვითშეფასების ანგარიშის მომზადება;
- პროფესიული ორიენტაციის ტრენინგი;
- ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები;
- პირველადი დახმარების ტრენინგი;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- ეფექტური ბიზნეს კომუნიკაციები;

აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ინტერვიუზე გამოცხადებულმა აკადემიურმა, მოწვეულმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა დაადასტურა ტრენინგებში მონაწილეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში

- უსდ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 იანვრის N1 ოქმით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“
- სტუდენტების შეფასების შედეგების ამსახველი ფორმა სემესტრების მიხედვით (ნიმუში) ექსელის (microsoft excel) ფორმატში
- აკადემიური პერსონალის წლიური შეფასების კრიტერიუმიები
- მოწვეული ლექტორების წლიური შეფასების კრიტერიუმები
- სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში (ბოლო 5 წელი)
- აკადემიური პერსონალის წლიური შეფასების ფორმა
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის თვითშეფასების ფორმა
- სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების ფორმა
- სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების შეჯამების დოკუმენტი (ნიმუში) ექსელის (microsoft excel) ფორმატში
- უშუალო უფროსის მხრიდან პერსონალის შეფასების ფორმა
- პერსონალის თვითშეფასების კითხვარის ფორმა
- დამსწრის მიერ ლექტორის შეფასების ფორმა
- სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის შეფასების ფორმა
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტაციული პერსონალის გამოკითხვის ფორმა, პროგრამის განვითარებასთან დაკავშრიებით
- პროგრამის შემოწმების კრიტერიუმები (ე.წ checklist)
- დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასების ფორმა
- პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასების ფორმა
- 2017-2018, 2018-2019, 2019-2020 და 2020-2021 სასწავლო წელს წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშების ანალიზის დოკუმენტები
- პერსონალის ავტობიოგრაფიები (CV)
- უსდ-ის მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის №13 ოქმით დამტკიცებული „აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულება“
- 2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წლებში სამეცნიერო აქტივობების წასახალისებლად გაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია
- ტრეინინგების ჩამონათვალი
- პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უსდ-ში არის სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები. უსდ-ს აქვს იმიტირებული სასამართლო პროცესების დარბაზი, სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, მოდელირებული სასამართლო პროცესები, რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით, იგეგმება იმიტირებული სასამართლო პროცესების დარბაზის საფუძვლიანი განახლება და გაუმჯობესება და სტუდენტთათვის უფრო ხელსაყრელ სართულზე გადატანა. ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები

კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.

აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც სტუდენტს საშუალება აქვს, ბიბლიოთეკისაგან მოითხოვოს ლიტერატურის ელექტრონული ვერსია. უსდ-ის ბიბლიოთეკა ზრუნავს იმ ლიტერატურის დასკანერებასა და სტუდენტებისათვის ელექტრონული ფორმატით მიწოდებაზე, რომელიც მანამდე მას არ გააჩნდა ასეთი ფორმატით.

უსდ სტუდენტს სთავაზობს სამართლებრივი აქტების ელექტრონული ბაზებით (matsne.gov.ge) სარგებლობის შესაძლებლობას, რომლითაც ისინი შეძლებენ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოძიებას. თუმცა, მომხმარებლების (ე.წ. user) რაოდენობა ამ მხრივ შეზღუდულია. ავტორიზებულ რეჟიმში ამ ბაზასთან წვდომის უფლება აქვს მხოლოდ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელსა და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელს. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის განმარტებით, მათ შეუძლიათ, თხოვნის შემთხვევაში ნებისმიერ სტუდენტს დაეხმარონ საჭირო სამართლებრივი აქტის მოძიებაში. ინტერვიუს შედეგებით დადასტურებულია ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მზაობა, დაეხმარონ თითოეულ სტუდენტს. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონულ ბაზაზე წვდომა მნიშვნელოვანი და საჭიროა სწავლის პროცესში, გარდა ამისა, აღნიშნულ პლატფორმასთან მუშაობის უნარი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სამართლის კვალიფიკაციის მქონე პირებისათვის, მიზანშეწონილია, ბიბლიოთეკაში გააქტიურდეს თუნდაც 2-3 მომხმარებელი ბიბლიოთეკის კომპიუტერზე, სადაც სტუდენტს ექნება უშუალო წვდომა, თავად შეძლებს ბაზასთან მუშაობასა და საჭირო საკანონმდებლო წყაროების მოძიებას.

სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით. უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია ისეთი სამეცნიერო ბაზები, როგორიცაა: Sciencedirect, Scopus, Cambridge University Press, HeinOnline და სხვ. მისასალმებელია, ბაზებზე წვდომა სტუდენტს აქვს საბიბლიოთეკი სივრცის გარეთაც. ამისათვის საჭიროა, სტუდენტმა უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს სთხოვოს ბაზაზე წვდომა და გააქტიურდეს მისი მომხმარებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- სამეცნიერო ბაზები/ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა
- უსდ-ის ვებ-გვერდი

- მემორანდუმები/ხელშეკრულებები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- იქიდან გამომდინარე, რომ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონულ ბაზაზე წვდომა მნიშვნელოვანი და საჭიროა სწავლის პროცესში, მიზანშეწონილია ბიბლიოთეკაში გააქტიურდეს თუნდაც 2-3 მომხმარებელი ბიბლიოთეკის კომპიუტერზე, სადაც სტუდენტს ექნება უშუალო წვდომა და შეძლებს ბაზასთან მუშაობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-მ სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში წარმოადგინა სამართლის საბაკალავრო პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტი. დოკუმენტი ინფორმაციულია და მოიცავს სხვადასხვა მონაცემს. ბიუჯეტი შედგენილია 120 სტუდენტზე გათვლით. ამდენივეა უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის სტუდენტი. პროგრამის ხარჯებში ცალკეა გამოყოფილი

თანამშრომელთა ხელფასები, რომელიც ჩაშლილია შემდეგ კომპონენტებად: ადმინისტრაციულ პერსონალზე, აკადემიურ პერსონალზე და მოწვეულ პერსონალზე გასაწევი დანახარჯები. პროგრამის ბიუჯეტში ცალკეა გამოყოფილი სამეცნიერო და კვლევითი ხარჯები, რომელიც მოიცავს: სამეცნიერო ჟურნალის გამოცემის ხარჯებს, წიგნების, კომპიუტერული პროგრამების შესყიდვის ხარჯებს, სხვა კვლევითი ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტში მოცემულია ინფორმაცია სტუდენტთა შემოქმედებით აქტივობებზე, სტუდენტთა სოციალურ აქტივობებზე, პროგრამის აკრედიტაციაზე, საგანმანათლებლო აღჭურვილობაზე, მივლინებებზე გასაწევ დანახარჯებზე და სხვ. მართალია, პროგრამის ბიუჯეტში მივლინებებზე გასაწევი ხარჯები საკმაოდ მცირეა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული თანხები არის ფაკულტეტის დეკანის უშუალო გამგებლობაში. აღნიშნულ საკითხს შინაარსობრივად ავსებს „აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულება“ და აკადემიური საქმიანობის წახალიბეზე გაწეული კონკრეტული დანახარჯები. „დებულებით“ გათვალისწინებული წახალისების წლიური მოცულობა შეადგენს 3 000 ლარს (ჯამურად) თითოეულ აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე. აღსანიშნავია ისიც, რომ აკადემიური პერსონალის მიერ წახალისების ოდენობის ამოწურვის შემთხვევაში, რექტორი უფლებამოსილია დამატებით გაზარდოს აკადემიური პერსონალის წახალისების წლიური ოდენობა 2000 ლარამდე (ჯამურად). წახალისების თანხების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელი ერთეულია კონფერენციებისა და პუბლიკაციების სამსახური. ამგვარად, პროგრამის კონკრეტული საჭიროება, პერსონალის მხარდაჭერა, სამეცნიერო მიმართულებით გასააქტიურებლად, გათვალისწინებულია, როგორც პროგრამის ბიუჯეტში, ისე უსდ-ის ბიუჯეტშიც. პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება გასაწევ ხარჯებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ „აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულება“ ○ აკადემიური საქმიანობის წახალისებაზე გაწეული ხარჯების დოკუმენტი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა ეყრდნობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებულ შიდა რეგულაციებს, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებასა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სახელმძღვანელო დოკუმენტს. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცესების ადმინისტრირებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე "(PDCA) ციკლის მიდგომას. ამასთან, სამსახურის დებულებით, გაწერილია სამსახურის ფუნქციები და ვალდებულებები, ხოლო სახელმძღვანელოთი - ის მექანიზმები და მათი პრაქტიკაში განხორციელების გზები და ვადები, რომელსაც ხარისხის სამსახური იყენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის.

შიდა რეგულაციების თანახმად, უნივერსიტეტში ხორციელდება აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის სისტემატიური შეფასება, მათი თვითკმაყოფილების კვლევა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევებით, შესაბამისი ანგარიშებითა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით, დასტურდება, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი ინტენსიურად თანამშრომლობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. უნივერსიტეტს შექმნილი აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციით დადგენილია ახალი პროგრამის შემუშავებისა და უკვე არსებულ პროგრამებში ცვლილებების შეტანის წესები. ინტერვიუს შედეგებმა გამოკვეთა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის (რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდება 2011 წლიდან) ცვლილებების დაგეგმვა და შემდგომ მათი სისრულეში მოყვანა სრულად შეესაბამებოდა უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილ პროცესს. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ, როგორც პროგრამის დებულების მე-19 მუხლი ადგენს, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება განხორციელდა „სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების საფუძველზე განხორციელებული შეფასების შედეგების, მათ შორის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კვლევის შედეგად მიღებული შეფასებების, აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე." ამასთან, ცვლილებების განხორციელება და სააკრედიტაციო პროცესების წარმართვა უზრუნველყოფილ იქნა ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.

საგანმანათლებლო პროგრამაში ძირეული ცვლილებების განხორციელებას წინ უძღოდა სტუდენტთა, პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია თან ერთვის პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს. გარდა აღნიშნულისა, აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში განხორციელებულმა ინტერვიუებმა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ნათლად დაადასტურა, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის სტრუქტურის, კურიკულუმის, პროგრამის მიზნების,

შედეგების, თითოეული სასწავლო კომპონენტის განხორციელებისათვის შექმნილი სილაბუსების ფორმირების პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინა როგორც მოქმედი სტუდენტებისა და აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის, ისე დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებები.

თვითშეფასების ჯგუფის გარდა, გამოიყო ცალკე ჯგუფი, რომელმაც იმუშავა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაზე და მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში, სრულად მოხდა იმ მოთხოვნების გათვალისწინება, რომლებიც დამსაქმებლებმა და კურსდამთავრებულებმა წამოაყენეს მთლიანობაში პროგრამისა თუ ცალკეული სასწავლო კომპონენტის მიმართ.

პროგრამაში ჩართული პერსონალის ნაწილი უნივერსიტეტთან დაკავშირებულია ხანგრძლივი შრომითი ურთიერთობით, ხოლო ნაწილი ახალი პერსონალია, თუმცა ყველა მათგანი იცნობს უნივერსიტეტში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასა და მექანიზმებს. პერსონალის საქმიანობა ფასდება ერთის მხრივ, სტუდენტების მიერ, სემესტრულად და წლიურად, მეორეს მხრივ, ისინი თავად გადიან თვითშეფასების პროცესს. ამასთან, სტუდენტთა მიერ პერსონალის შეფასება არ წარმოადგენს სავალდებულო პროცესს და იგი სრულად ანონიმურია. შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც შემდგომ წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელსა და პერსონალს, საჭიროების შემთხვევაში, კი შესაბამისი პროცედურების დაცვით, პროგრამა გადის ცვლილებებს. სწორედ აღნიშნული შეფასებების შედეგები იყო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესში პროგრამის ხელმძღვანელმა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სამართლის ფაკულტეტის დეკანს, განაცხადა ფაკულტეტზე დანერგილი პრაქტიკის თაობაზე, რაც გულისხმობს სტუდენტებთან პირისპირ შეხვედრებს მათი მოსაზრებების მოსმენისა და განხილვის მიზნით. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესითაც. სტუდენტების განცხადებით, მსგავსი შეხვედრების პროცესში მათ მიერ გაჟღერებული ბევრი ინიციატივა მხარდაჭერილი და განხორციელებული იქნა ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ.

როგორც სტუდენტთა გამოკითხვებმა და მათთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, მათი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო საბაკალავრო პროგრამაში მეტი ისეთი სასწავლო კომპონენტის გათვალისწინება, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა სამართლის პროფესიის პრაქტიკულ კომპონენტებზე. შესაბამისად, პროგრამის პერსონალის განცხადებით, მათ ერთის მხრივ, პროგრამაში დაამატეს ცალკეული ლექციები, რომლებიც მიმართულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე (მაგალითად, პრაქტიკუმი სამართლის სხვადასხვა მიმართულებებით, იურიდიულ პროფესიათა ეთიკა, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარები, დაცვის ხელოვნება, პრაქტიკული სამართლის კლინიკა, საკანონმდებლო ტექნიკა და ა.შ.), მეორეს მხრივ კი აირჩიეს მიდგომა, რომლის მიხედვითაც, თითოეული სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, ასევე ჩაშენებულია

პრაქტიკული ნაწილი შესაბამისი დავალებებისა თუ სალექციო აქტივობების სახით.

თვითშეფასების განაცხადს თან ერთვის პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, რომელიც შეჯამებულად ასახავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეფასებისა და გამოკითხვების შედეგების მიხედვით გამოკვეთილ რეკომენდაციებს და აღნიშნულის საფუძველზე პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს. აღსანიშნავია, რომ ანგარიშით მოცემული პროცესი სრულად დადასტურდა როგორც პროგრამის დოკუმენტური შემოწმების, ისე ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგებით.

ამასთან, შეჯამების სახით აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, რომელიც მოქმედებს შესაბამისი რეგულაციებით დადგენილი პროცესების მიხედვით. აღნიშნულისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შექმნილი აქვს მექანიზმები, შემუშავებულია შესაბამისი გამოკითხვების ფორმები. სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიების გამოკითხვები და საჭირო მონაცემების მიღება ხორციელდება ელექტრონულად, ონლაინ-რეჟიმში უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმებისა და google-drive-ის მეშვეობით. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესისადმი სისტემურმა მიდგომამ და საუნივერსიტეტო სივრცეში ყველა ადმინისტრაციული თუ აკადემიური რგოლის მიერ გაზიარებულმა ხარისხის კულტურამ, განაპირობა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების პროცესის მრავალმხრივი სამუშაო პროცესების დაგეგმვა და მთავარი მიზნის - ყველა დაინტერესებული მხარის რეალურად ჩართვის საფუძველზე, პროგრამის ცვლილებებისათვის საჭირო პრაქტიკული უკუკავშირების მიღება. ამ სისტემის ნაწილს წარმოადგენენ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, რომლებთანაც აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური როგორც მონაცემთა შეგროვებისა და შეფასებების ორგანიზების, ისე ანალიზისა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ეტაპზე. შესაბამისად, ერთის მხრივ, მოქმედი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგები, მეორეს მხრივ კი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების მიზნებისათვის განხორციელებული აქტივობები აჩენს დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, სამართლის საბაკალავრო პროგრამის შეფასებისა და განვითარებისათვის შიდა რეგულაციებით დადგენილი ყველა ღონისძიება განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მოქმედი სისტემის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სახელმძღვანელო დოკუმენტი

- ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში განხორციელებული გამოკითხვებისა და შეფასებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული სხვა დოკუმენტაცია
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასების ნაწილში, უნივერსიტეტმა იხელმძღვანელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის N MES 1 21 0000050846 გადაწყვეტილებით, სადაც ასახული იყო საბჭოს რეკომენდაციები. გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტმა ასევე იმსჯელა ზემოხსენებული აკრედიტაციის გადაწყვეტილების მიმღების საბჭოს წინაშე წარდგენილი ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევებით. ასევე

განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი პირის მიერ.

აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის N MES 1 21 0000050846 გადაწყვეტილებით, განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს მითითებული სასწავლო მასალა და განახლდეს რელევანტური თანამედროვე ლიტერატურით შემდეგი საგნები: შესავალი კონსტიტუციონალიზმში, საკონსტიტუციო სამართალწარმოება, სააღსრულებო სამართალი, იურიდიული ფსიქოლოგია, ევროკავშირის სამართალი, ადამიანის ძირითადი უფლებები, საკორპორაციო სამართალი, საფინანსო სამართალი, ფასიანი ქაღალდების სამართალი. - **შესრულებულია**

   პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კომპონენტი სახელწოდებით „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“, ხოლო საკონსტიტუციო სამართალწარმოებას გადაერქვა სახელი ჰქვია საკონსტიტუციო მართლმსაჯულება. სხვა კომპონენტები ამოღებულია პროგრამიდან.

2. საგანში - „შესავალი კონსტიტუციონალიზმში“ გადაიხედოს სასწავლო თემატიკა და წარმოდგენილ იქნეს იმგვარად, რომ საგნის სახელწოდება იფარებოდეს თემატიკით - **შესრულებულია**

   სასწავლო კომპონენტს ჰქვია შესავალი საკონსტიტუციო სამართალში და საგნის სახელწოდება და სალექციო თემატიკა შეესაბამება ერთმანეთს.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციაზე ორიენტირებული და აუცილებელია მასში აისახოს საქართველოს კონსტიტუციის მიერ დადგენილი საკონსტიტუციო ორგანოთა რეგლამენტაცია, აუცილებელია გადაიხედოს სილაბუსი და დაემატოს საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის, სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების, სახელმწიფო ფინანსებისა და კონტროლის მიმართულებები - **შესრულებულია**

4. აკადემიური წერა იურისტებისთვის - საგნის თემატიკიდან ამოღებულ უნდა იქნეს სამართლებრივი წერისათვის დამახასიათებელი შინაარსობრივი საკითხები (მაგალითად, გასაჩივრების დოკუმენტები, საქმიანი კორესპონდენცია, განცხადება, ინფორმაციის გამოთხოვა და მსგ.), მათ ნაცვლად საგანმა უნდა მოიცვას უშუალოდ აკადემიური წერის შინაარსობრივი თემატიკა. – **შესრულებულია**

   პროგრამაში დღეისათვის წარმოდგენილია სასწავლო კომპონენტი ზეპირი და წერითი კომუნიკაციების უნარები, რომლის სილაბუსი შემუშავდა ერთის მხრივ, საბჭოს რეკომენდაციების, ხოლო მეორეს მხრივ დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით და ორიენტირებულია, სტუდენტს მისცეს საბაზისო ცოდნა აკადემიური და პროფესიული წერისათვის, ასევე საჯარო გამოსვლების ტექნიკის თაობაზე და გამოუმუშაოს საჯარო გამოსვლებისა და ეფექტური პრეზენტაციისათვის საჭირო უნარები.

5. აღმოიფხვრას შესავალი კონსტიტუციონალიზმისა და სამართლის საფუძვლების

თემატური ურთიერთგადაფარვა (სახელმწიფო, სახელმწიფოს ფორმები, სახელმწიფოს მექანიზმი და ა.შ.) - **შესრულებულია.**

6. შესავალი იურიდიულ პროფესიაში არ პასუხობს საგნის შინაარსს, იგი სრულად ორიენტირებულია იურიდიულ პროფესიათა ეთიკაზე. საგნის შინაარსი და სახელწოდება მოვიდეს შესაბამისობაში საგნის სახელწოდების შეცვლის, ან თემატიკის სრულად განახლების გზით. - **შესრულებულია**

   პროგრამის კურიკულუმში გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტი „იურიდიულ პროფესიათა ეთიკა“, რომელსაც ახორციელებენ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები და სალექციო თემატიკას ფარავენ მათი კომპეტენციების ფარგლებში.

7. საქმიანი წერა შინაარსობრივად უნდა გამდიდრდეს რამდენიმე სამართლებრივი თემატიკით და დაერქვას სამართლის სწავლის სფეროსთვის შესაბამისი სახელი, წინააღმდეგ შემთხვევაში გადატანილ იქნეს სწავლის ძირითადი სფეროს მიღმა არჩევით საგნებში ან თავისუფალ კრედიტებში. - **შესრულებულია.**

   აღნიშნული კომპონენტი ამოღებულია პროგრამიდან და მის ნაცვლად შეთავაზებულია „ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარები“

8. საკონსტიტუციო სამართალწარმოება - შინაარსობრივად არ ფარავს სრულად საკონსტიტუციო სამართალწარმების საკითხებს, სილაბუსში ძირითადად წარმოდგენილია საკონსტიტუციო კონტროლის თემატიკა. აუცილებელია საკონსტიტუციო სამართალწარმოების არსებითი საკითხების ზრდა და მათი შესაბამისი, თემატური წყაროების ინტეგრირება სილაბუსში. - **შესრულებულია.**

9. რეპეტიტორიუმი კერძო სამართალსა და სისხლის სამართალში შინაარსობრივად ზედმიწევნით იმეორებს შესაბამისი მიმართულების საგნების თემატიკას, წყაროებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს, რაც რეალურად საგნების დუბლირებაა და არა ცოდნის გაღრმავება. აუცილებელია გაიმიჯნოს რეპეტიტორიუმების შინაარსობრივი თემატიკა, ლიტერატურა და შეფასების კრიტერიუმები სავალდებულო საგნებისგან. - **შესრულებულია**

   ზემოხსენებული სასწავლო კომპონენტები ამოღებულია პროგრამიდან და მათ ნაცვლად შეთავაზებულია პრაქტიკუმები კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის მიმართულებით ცალ-ცალკე, რომლებიც ფარავს შესაბამის თემატიკას კონკრეტული პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დავალებების შესასრულებლად.

10. იურიდიული ფსიქოლოგიის თემატიკის 2/3 ზოგადი ფსიქოლოგიიდანაა აღებული, აუცილებელია საგნის ორიენტირება სრულად სამართალზე. ფსიქოლოგიის საფუძვლების საკითხები ამოღებულ უნდა იქნეს სილაბუსიდან და იგი გამდიდრდეს საკონსტიტუციო და კერძოსამართლებრივი ფსიქოლოგიის თემატიკით, არ ორიენტირდებოდეს მხოლოდ სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაზე, რითაც ვერ ამოიწეურება საგნის სახელწოდება. - **შესრულებულია**

სასწავლო კომპონენტი ამოღებულია პროგრამიდან.

11. გადაიხედოს ევროკავშირის სამართლის საგნის სილაბუსი, ამოღებულ იქნეს სრულიად არარელევანტური და საგნის შინაარსთან კავშირში არმყოფი თემატიკა (მაგ., მე-9 და მე-10 თემები), განივრცოს უშუალოდ დარგის საკითხებით - **შესრულებულია.**

12. ადამიანის ძირითადი უფლებების შინაარსი გადახალისდეს, დაემატოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია, კაზუსის შეფასების მეთოდიკა შესაბამისობაში მოვიდეს ევროსასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტთან, თემატიკაში გათვალისწინებული იქნეს მკაცრი და რაციონალური დიფერენციაციის ტესტებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების შესახებ საკითხები - **შესრულებულია.**

13. რეპეტიტორიუმი ადმინისტრაციულ სამართალში - საგნის შინაარსი არ შეესაბამება საგნის სახელწოდებასა და რეპეტიტორიუმის მიზნებს და შედეგებს. შინაარსით საგანი ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს მიემართება, შესაბასად, აუცილებელია საგნის სახელწოდების ცვლილება და რეალობის გათვალისწინება, ან საგნისთვის სახელის დატოვება და მთლიანი შინაარსის ცვლილება სახელწოდების შესაბამისად. - **შესრულებულია.**

    პროგრამიდან ამოღებულია აღნიშნული სასწავლო კომპონენტი და მის ნაცვლად შემუშავებულია „პრაქტიკუმი საჯარო სამართალში“.

14. სასწავლოს კურსის „რეპეტიტორიუმი კერძო სამართალში“ სილაბუსში, ძირითადად განხილულია სანივთო და ვალდებულებითი სამართალი, ხოლო სახელშეკრულებო სამართლის საკითხები მწირად არის წარმოდგენილი. ასევე, საერთოდ არ არის მოცემული მასთან დაკავშირებული და უშუალო კორელაციაში მყოფი საკთხები მომიჯნავე დარგებიდან, შესაბამისად, მიზანშეწონილია, სასწავლო კურისის ფარგლებში განხილული იყოს პროცესუალურ- სამართლებრივი საკითხები. კომბინირებულად უნდა იყოს წარმოდგენილი სამართლის სხვადასხვა დარგის ნაზავი, რომლშიც მიზნობრივად იქნება ინკორპორირებული საპროცესო სამართალიც. ასევე, მნიშვნელოვანია, რეპეტიტორიუმის დაფუძნება უპირატესად სასამართლო პრაქტიკაზე. აუცილებელია, მოხდეს მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვა და მათი ანალიზი აღნიშნულ კურსში, რაც წამოდგენილი სილაბუსიდან არ იკვეთება - **შესრულებულია.**

    აღნიშნული სასწავლო კომპონენტი ამოღებულია პროგრამიდან და მის ნაცვლად შემუშავდა ახალი სალექციო კურსი „პრაქტიკუმი კერძო სამართალში.“

15. „სააღსრულებო სამართლის“ სილაბუსში, მიზანშეწონილია, გადაიხედოს სწავლების მეთოდები, რადგან თუ კონკრეტულ სილაბუსში (ეხება არამხოლოდ ამ, არამედ სხვა საგნებსაც) მითითებულია სწავლების მეთოდები, მაშინ იგი რელევანტური და სწავლების დროს რეალურად გამოყენებადი უნდა იყოს, ასევე, ეს უნდა ჩანდეს სილაბუსიდან. - **შესრულებულია.**

16. მიზანშეწონილია, გადაიხედოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა და მოხდეს ამ

რაოდენობის გაზრდა. - **შესრულებულია** 17. საკორპორაციო სამართლის მე-10 კვირის ლიტერატურაში მიზანშეწონილი იქნება ი.ბურდულის დამაფუძნებელი სტატიის მითითება, რომელიც სავალდებულო სატენდერო შეთავაზებასა და აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტებს შეეხება - **შესრულებულია.** *საკორპორაციო სამართლის სასწავლო კომპონენტი და შესაბამისი სილაბუსი სრულად შეცვლილია.* ნაწილობრივ გათვალისწინებული იქნა წინა აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები. გარდა აღნიშნულისა, გათვალისწინებულ იქნა პროგრამის გარე შეფასების პროცესში, დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები. შესაბამისად, გარე შეფასებების (მათ შორის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირის) საფუძველზე მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების განხილვამ და პროგრამის განახლების პროცესში გათვალისწინებამ, მნიშვნელოვანწილად უზრუნველყო პროგრამის გამრავალფეროვნება და ლოგიკური, თანმიმდევრული კურიკულუმის აგება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამართლის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ პროგრამა და თანდართული სილაბუსები ○ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში ○ აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის N MES 1 21 0000050846 გადაწყვეტილება და ექსპერტთა დასკვნა ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ, მათი თვითკმაყოფილების კვლევა. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ახორციელებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევას დადგენილი პერიოდულობით. სახელმძღვანელოს მე-5 მუხლის თანახმად, ხორციელდება სალექციო პროცესის მონიტორინგი (სალექციო პროცესის სალექციო ცხრილის შესაბამისად წარმართვა) მონიტორიგის სისტემის მეშვეობით, რაც გულისხმობს ა) მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ აუდიტორიების დათვალიერებას; ბ) სტუდენტთა საინფორმაციო სისტემის მეშვეობით ლექტორის ლოგირების კონტროლს, სისტემაში შესვლისა და სისტემიდან გამოსვლის დროისა და ადგილის მონიტორინგის მიზნით. ამავე მუხლში გაწერილია სალექციო დაკვირვების შემთხვევები, სუბიექტები, ვინ და როგორ ახორციელებს დაკვირვებას და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ პროცესს. ამასთან, 5.4.4 პუნქტის მიხედვით, პედაგოგს წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია, რომ დაგეგმილია მის მიერ განხორციელებულ მეცადინეობებზე დაკვირვება მინიმუმ ერთი კვირით ადრე, დაკვირვების თარიღისა და მეცადინეობის დაკონკრეტების გარეშე. შესაბამისად, ინტერვიუს თანახმად, სამომავლოდ, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის ამ მექანიზმის გამოყენებაც დაგეგმილია.

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების თანახმად, პროგრამა და სწავლის შედეგები ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, რისთვისაც შემუშავებულია სპეციალური ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციის თანახმად, საგანამანათლებლო

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ხოლო ამ პროცესის მონიტორინგს ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგებით დადასტურებულია, რომ სწავლის შედეგების შეფასება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისათვის ხორციელდებოდა ინსტრუქციით დადგენილი პერიოდულობით, შესაბამისი მექანიზმის გამოყენებით. შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია თან ახლავს სააკრედიტაციო განაცხადს. ამასთან, პროგრამის განახლებისათვის აქტიურად იქნა გამოყენებული არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები, როგორიცაა დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების გამოკითხვა, კურიკულუმის ანალიზი, შედარება მსგავს პროგრამებთან და სხვა. პროგრამა დადარებულია უცხოურ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც გულისხმობდა უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ-გვერდზე განთავსებულ კურიკულუმებთან შედარებასა და ანალიზს. ამასთან, პროგრამის განმახორციელებელი და თვითშეფასების პროცესში ჩართული პერსონალის განცხადებით, პროგრამის კურიკულუმზე მუშაობისას გაზიარებულ იქნა ბერნის უნივერსიტეტის მიდგომა, რომლის თანახმად, რიგი სასწავლო კომპონენტები დაიყო და ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილებად და სწავლება გადანაწილდა სხვადასხვა სემესტრებზე. პროგრამის განახლებისა და თვითშეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა დამსაქმებელთა ჯგუფი, რომელთა მოთხოვნები და რეკომენდაციები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული სალექციო თემატიკის შერჩევისას. მათ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა პროგრამაში მეტი დროის დათმობა ისეთ აქტივობებზე, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს მისცემს საშუალებას გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარები. შესაბამისად, სასწავლო კომპონენტებში მოცემულია ისეთი საგნები, როგორიცაა „წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები“, პრაქტიკუმები სამართლის სხვადასხვა მიმართულებით, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა და ა.შ. ყველა ამ საგნის სილაბუსი შემუშავდა ან ტრანსფორმირდა დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით, რისი მოლოდინიც გააჩნიათ მათ. პროგრამის განმახორციელებლებსა და დამსაქმებლებს შორის აქტიური თანამშრომლობა გარდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა, დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს პროცესითაც. სამართლის პროგრამაზე დამსაქმებელთა ასეთი ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების მისაცემად, რადგან ამ მიმართულებით როგორც განათლების, ისე დასაქმების ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის ვითარების გათვალისწინებით, რთულია თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება და დამსაქმებელთა რეალური ჩართულობის უზრუნველყოფა სამართლის პროგრამის განხორციელების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების განაცხადი ○ პროგრამა და სილაბუსები ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები და შეფასებები

○ სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სამართლის საბაკალავრო პროგრამა, პირველი საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 74

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ბოგვერაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა სოფიო უგრეხელიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ილია წიკლაური

სახელი, გვარი, ხელმოწერა გიორგი ფარეშიშვილი